

საზოგადოებრივი მაუწყებელი

კვარტალური ანგარიში

ივლისი-სექტემბერი
2006

სარჩევი:

• შესავალი	3
• ვებ-გვერდი	4
• მონიტორინგის სამსახური	5
• დემოკრატიული ღირებულებები	8
• კულტურულ-შემეცნებითი ღირებულებები	16
• მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია	21
• საბავშვო მიმართულება	24
• სპორტული მიმართულება	28
• კინოპროგრამების მიმართულება	30
• მუსიკალური მიმართულება	32
• საგანმანათლებლო პროგრამები	34
• გასართობი მიმართულება	35
• სხვადასხვა	37
• არქივი	41
• საზოგადოებასთან ურთიერთობა	43
• ადამიანური რესურსების სამსახური	44
• კომერციული საქმიანობა	45
• საერთაშორისო ურთიერთობები	46
• ტექნიკური გადაიარაღება	47

შესავალი

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ მაუწყებელში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა.

ზაფხულში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები, რომელმაც ცხადყო არხის ბრენდის შეცვლის აუცილებლობა. ფოკუს ჯგუფების საფუძველზე შეირჩა არხის ფერი (მწვანე), რაც განახლებასთან ასოცირდება, ლოგო და ახალი სლოგანი (თქვენთვის და თქვენთან ერთად), რომელიც იმ კონცეფტუალურ ცვლილებას ასახავს, რაც არხმა ტრანსფორმაციის შედეგად განიცადა. შეიცვალა ვების ვიზუალური მხარე, 1 ოქტომბრიდან საქართველოს მასშტაბით ვებ-მაუწყებლობა ხორციელდება, ხოლო 15 ოქტომბრიდან მოხდება რამდენიმე გადაცემის ფაილების ატვირთვა, რაც ამ გადაცემების საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩამოტვირთვის საშუალებას იძლევა.

მიმდინარე პერიოდში მომზადდა 5 ახალი სატელევიზიო გადაცემა, რომელთაგან 4 ეთერში ოქტომბრიდან გავა; ასევე 3 დოკუმენტური ფილმების ციკლი, რომელთაგან ერთი ეთერში ოქტომბრიდან გავა. გარდა ამისა, მომზადდა 14 ახალი რადიოგადაცემა.

აღნიშნული პერიოდი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მაუწყებელში მონიტორინგის ჯგუფის შექმნით თვითრეგულირების ინსტიტუციონალიზაცია მოხდა.

ვებ – გვერდი

ამ პერიოდში შეიქმნა ახალი ვებ-გვერდის პროექტი და დაიწყო მუშაობა მაუწყებლის ვებ-გვერდის განახლებაზე. ვებ-გვერდს საფუძვლად საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი კონცეფცია უდევს და მისი სტრუქტურა მაქსიმალურად სრულად წარმოაჩენს საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითად მიმართულებებს და პროგრამულ პრიორიტეტებს. ახალი ვებ-გვერდის ნავიგაციის სისტემა მორგებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამებს ან მხოლოდ ახალი ამბებით დაინტერესებული მომხმარებლის ინტერესებს.

ახალი, ორენოვანი ვებ-გვერდი ინტერაქტიულია და მომხმარებელს პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობას, ასევე მრავალფეროვან ფორუმში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. გათვალისწინებულია ვებ-მაუწყებლობა და ზოგიერთი პროგრამების ვიდეო ვერსიების ატვირთვის შესაძლებლობები.

საბავშვო საიტი, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის გვერდის ნაწილია, პატარა მომხმარებელს საყვარელ გმირებთან შეხვედრის შესაძლებლობას მისცემს. ვებ-გვერდზე განთავსებულია თამაშები, რომელიც ბავშვების გართობასთან ერთად, მათ განვითარებასაც უწყობს ხელს.

ახალ ვებ-გვერდზე ცალკე გვერდი დაეთმობა საზოგადოებისგან შემოსულ შეკითხვებს, რომელსაც ჩვენ ვუპასუხებთ. შეკითხვები და პასუხები მუდმივად განახლდება.

ცალკე გვერდი ეთმობა საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ ინფორმაციას, სამეურვეო საბჭოს, პროგრამებს, მოამბეს, რადიოს, არქივს, სპორტს და სხვა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ვებ-გვერდი განახლებული დიზაინითა და სტრუქტურით 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა.

მონიტორინგის ჯგუფი

თვითრეგულირების მექანიზმების დანერგვის მიზნით 2006 წლის 10 ივლისიდან საზოგადოებრივ მაუწყებელში შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფის უმთავრესი ფუნქცია საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებში პროფესიული ეთიკის სტანდარტების დანერგვა და ამ სტანდარტების შესრულებაზე მუდმივი მეთვალყურეობის განხორციელებაა. გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფის ფუნქციას წარმოადგენს ამ სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებით ფიზიკური თუ იურიდიული პირებისგან შემოსული საჩივრების შესწავლა და მათზე რეაგირება.

პროფესიული ეთიკის სტანდარტებს ქცევის კოდექსი განსაზღვრავს, რომელსაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, მაუწყებლობის შესახებ კანონის თანახმად, უახლოეს მომავალში მიიღებს. ქცევის კოდექსის დამტკიცების შემდეგ ამ სტანდარტების დაცვა სავალდებულო იქნება საქართველოში არსებული ყველა სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელისათვის. საზოგადოებრივი ტელევიზიის მონიტორინგის ჯგუფი მონაწილეობდა ქცევის კოდექსის პროექტის შემუშავებაში.

საზოგადოებრივ მაუწყებელში სარედაქციო დამოუკიდებლობა და პროფესიული სტანდარტები მაუწყებელსა და ჟურნალისტს შორის გაფორმებულ კონტრაქტში აისახება. საზოგადოებრივი მაუწყებელი პირველი მედიაორგანიზაციაა საქართველოში, სადაც პროფესიული ნორმები ჟურნალისტების კონტრაქტის შემადგენელი ნაწილია, რაც კიდევ უფრო ავალდებულებს ჟურნალისტებს მის დაცვას.

მონიტორინგის ჯგუფი, რეგულარულად ატარებს ტრენინგებს ჟურნალისტებთან პროფესიული ეთიკის სტანდარტების დასანერგად. ტრენინგების მიზანი ჟურნალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება და შესაბამისად, საზოგადოებრივ მაუწყებლობაში პროფესიონალიზმის მაღალი დონის შენარჩუნებაა. მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მაუწყებლის თვითრეგულირებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმს წარმოადგენს, ასევე ახორციელებს საინფორმაციო გადაცემების მუდმივ მონიტორინგს და აღმოჩენილ დარღვევებს ჟურნალისტებთან განიხილავს.

ივლისი-სექტემბრის პერიოდში მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებდა შემდეგი სახის საქმიანობას:

1. მონიტორინგის ჯგუფი მონაწილეობდა ქცევის კოდექსის პროექტის შემუშავებაში. მაუწყებლობის შესახებ კანონის თანახმად, ეს კოდექსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წლის ბოლომდე უნდა მიიღოს. ივლისში დასრულდა ქცევის კოდექსის პროექტზე მუშაობა. აგვისტოში კოდექსის პროექტი გაეგზავნა ევროპულ ექსპერტებს. ექსპერტებმა შენიშვნები სექტემბერში გამოაგზავნეს. ამჟამად მიმდინარეობს ექსპერტთა შენიშვნების შესწავლა და ამ შენიშვნების გათვალისწინების მიზანშეწონილობაზე მუშაობა.

2. მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგს და აღმოჩენილ დარღვევებს განიხილავს ჟურნალისტებთან და პროდიუსერებთან ერთად. ეს განხილვები ტარდება რეგულარულად, კვირაში

ორჯერ, ნიუსრუმში. მონიტორინგის ჯგუფი ასევე ატარებს ტრენინგებს პროფესიული ეთიკის სტანდარტების დასანერგად. ტრენინგების მიზანი ჟურნალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება და შესაბამისად, საზოგადოებრივ მაუწყებელში პროფესიონალიზმის მაღალი დონის შენარჩუნებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ივლისთან შედარებით, სექტემბერში მოამბეში შემცირდა უკვე სტანდარტების დარღვევებისა და სხვა ხასიათის შეცდომების დაშვების შემთხვევები.

3. ადგილობრივი არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ, მონიტორინგის ჯგუფმა საგანგებო ტრენინგი ჩაუტარა ჟურნალისტებს არჩევნების გაშუქების საკითხებზე.

4. მონიტორინგის ჯგუფმა, ასევე, განიხილა მედია საბჭოში შეტანილი საჩივარი, რომელშიც ერთ-ერთი მოქალაქე უკმაყოფილებას გამოხატავდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შექმნილ დოკუმენტურ ფილმთან დაკავშირებით. საქმე ეხება დოკუმენტურ ფილმს ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაზე. მომჩივანი აცხადებდა, რომ დოკუმენტურ ფილმში დამახინჯებული იყო რეალური ფაქტები და საზოგადოებრივი მაუწყებლისგან ამ შეცდომის საჯაროდ აღიარებას მოითხოვდა. მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული საჩივარი: შეხვდა ფილმის ავტორს და მისგან მიიღო ამომწურავი ინფორმაცია შესაბამის საკითხებზე; მაუწყებელმა დაადგინა, რომ აღნიშნულ საჩივარში გამოთქმული ბრალდებები არ შეესაბამება სინამდვილეს, გარდა ერთი ტექნიკური უზუსტობისა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიხეზით არ მომხდარა. მონიტორინგის ჯგუფმა მოამზადა წერილობითი პასუხი და სათანადო ვადაში გაუგზავნა მედია საბჭოს. წერილში აღინიშნა საჩივარში გამოთქმული ბრალდებების უსაფუძვლობა და ტექნიკური უზუსტობის დამატებითი გამოკვლევის აუცილებლობა.

5. მონიტორინგის ჯგუფი მონაწილეობს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი პროექტის - ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის პროგრამის - მედია კომპონენტის განხორციელებაში, რომელსაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. სამუშაო შეხვედრების გარდა, მონიტორინგის ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა საზოგადოებრივი საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრაში.

6. კიდევ ერთი პროექტი, რომელშიც მონიტორინგის ჯგუფი მონაწილეობს, ითვალისწინებს საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტებისა და პროდიუსერების გათვითცნობიერებულობისა და, შესაბამისად, პროფესიული დონის ამაღლებას. გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდეს შეხვედრები სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან. შეხვედრები გაიმართება რეგულარულად, კვირაში ერთხელ, და მათზე განხილული იქნება ქვეყნისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები. შედგა მოსაწვევ ექსპერტთა სია, მუშავდება შეხვედრების გრაფიკი და ფორმატი. შეხვედრები ინფორმაციული ხასიათის, ინტერაქტიული იქნება და ჟურნალისტები შეძლებენ მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე. ერთი საცდელი შეხვედრა უკვე შედგა.

7. მონიტორინგის ჯგუფი ასევე მონაწილეობს სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში, რომლებიც ეძღვნება როგორც ქვეყნის კოდექსის შემუშავების

საკითხებს, ასევე, ზოგადად, მედიის დამოუკიდებლობის თემას. 26 სექტემბერს, მონიტორინგის ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში, რომელზეც, მოწვეულ ევროპელ ექსპერტებთან ერთად, მოხდა ქვეყნის კოდექსის პროექტის საჯარო განხილვა. გარდა ამისა, 28 სექტემბერს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Article 19-ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე მაუწყებლის მონიტორინგის ჯგუფიდ ხელმძღვანელი გამოვიდა მოხსენებით, რომელშიც ეთიკური სტანდარტების თვალსაზრისით სამაუწყებლო მედიაში არსებულ მდგომარეობას შეეხებოდა.

დემოკრატიული ღირებულებები

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2006

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის საზოგადოებრივი მაუწყებელი საგანგებოდ მოემზადა.

2006 წლის 2 სექტემბერს საზოგადოებრივ მაუწყებელში შედგა შეხვედრა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და მაუწყებლის ხელმძღვანელობას შორის. შეხვედრას ესწრებოდნენ შემდეგი პარტიების წარმომადგენლები: კონსერვატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ეროვნული იდეოლოგიის პარტია. „საქართველოს გზა“, „მრეწველობა გადაარჩებს საქართველოს“, რესპუბლიკური პარტია. შეხვედრაზე, რომელიც პოლიტიკური საბჭოს ფორმატში გაიმართა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა საარჩევნო სუბიექტებს გააცნო მაუწყებლის მიერ 5 ოქტომბერს დაგეგმილი არჩევნების გაშუქების გეგმა, კერძოდ დებატების სტრუქტურა, წესები და წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამების განთავსების გრაფიკი.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, 2-2 საათიანი უფასო სარეკლამო დრო თანაბრად გადაანაწილა 4 კვალიფიციურ სუბიექტზე, ხოლო დამატებით 5 წუთიანი სარეკლამო დრო გამოუყო არაკვალიფიციურ სუბიექტებს. ამავე დროს კვალიფიციურ სუბიექტთა რაოდენობის დადგენის მიზნით, საზოგადოებრივი აზრის კვლევა დაუკვეთა კვლევით სამსახურს IPM-ს.

დებატები

10 სექტემბრიდან ინფორმაციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების თოქ-შოუს ჯგუფი ამზადებს ყოველკვირეულ “დებატებს”. გადაცემის მიზანია წინასაარჩევნოდ, პოლიტიკურ პარტიებს საკუთარი ხედვისა და შეხედულებების უკეთ წარმოჩენის შესაძლებლობა მისცეს, ასევე უზრუნველყოს ამომრჩეველი სუბიექტებს შორის გააზრებული არჩევანისათვის აუცილებელი ინფორმაციით. გადაცემა მაუწყებლის შესახებ კანონისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტებს შორის პარიტეტის მკაცრი დაცვით მზადდება. თოქ-შოუს პოლიტოლოგი დავით დარჩიაშვილი უძღვება.

არჩევნების გაშუქება საინფორმაციო გამოშვებებში

არჩევნების დაბალანსებულად გაშუქებისა და პროფესიული სტანდარტების დაცვის მიზნით, მონიტორინგის ჯგუფმა ჟურნალისტებსა და პროდიუსერებს ჩაუტარა ტრენინგი.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო სუბიექტები ერთნაირად არ აქტიურობდნენ, საინფორმაციო სამსახური მაქსიმალურად ცდილობდა მათთვის დროის თანაბრად გადაანაწილებას.

არჩევნების დასრულებისთანავე საზოგადოებრივი მაუწყებელი გამოაქვეყნებს კამპანიის დროს სუბიექტებს შორის დროის თანაბარი გადანაწილების ანგარიშს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა სუბიექტმა არ ან ნაწილობრივ ისარგებლა მისთვის კანონმდებლობით გარანტირებული დროით, ზოგიერთმა კი სრულად აითვისა სარეკლამო დრო.

“მოამბე”

საინფორმაციო პროგრამის პროგრამული და ვიზუალური მხარის სრულყოფის მიზნით საანგარიშო პერიოდში სერიოზული სამუშაოები ჩატარდა. მომზადდა მოამბის ახალი გრაფიკული შეფუთვა, შეიცვალა საინფორმაციო გადაცემის ქულის მუსიკალური გაფორმება.

საინფორმაციო სამსახურისთვის ივლისი, აგვისტო და სექტემბერი განსაკუთრებით დაძაბული პერიოდი იყო. “მოამბეს” ხშირად საგანგებო და პოლიტიკური თვალსაზრისით დაძაბულ ვითარებაში უწევდა მუშაობა. ამას, პირველ რიგში, განაპირობებდა მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც აღნიშნულ პერიოდში საინფორმაციო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი თემაა. პოლიტიკური დინამიზმი განსაკუთრებით გაიზარდა აგვისტოში კოდორის ხეობაში განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად. საქართველო ხელისუფლება აქტიურობდა საგარეო პოლიტიკის მიმართულებითაც, რამაც საინფორმაციოში უცხოეთიდან რეპორტაჟების წილი გაზარდა.

1-დან 11 ივლისამდე კი საინფორმაციო სამსახური აგრძელებდა ფეხბურთის ჩემპიონატის “რეჟიმში” მუშაობას. დღის განმავლობაში ამ თემაზე სულ ცოტა ორი პირდაპირი ჩართვა კეთდებოდა. სადამოს გამოშვება კი ხშირ შემთხვევაში სადამოს 22 საათზე გადიოდა ეთერში. მზადდებოდა სპეციალური რეპორტაჟები ფეხბურთის თემაზე. ეთერში გავიდა სიუჟეტები საზოგადოებრივი ტელევიზიის მიერ ფეხბურთის ჩემპიონატის გაშუქებაზე და დავით მინაშვილის პირდაპირი ჩართვები ბერლინიდან.

აქტიურად ამუშავდა საინფორმაციო სამსახურის ცხელი ხაზი, რამაც საგრძნობლად გაზარდა მოქალაქეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე რეგირება.

საგამოძიებო ჟურნალისტიკა

1 სექტემბრიდან ინფორმაციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ფარგლებში შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი 4 ჟურნალისტის შემადგენლობით. საგამოძიებო ჯგუფის მიერ მომზადებული მასალები ოქტომბრიდან ყოველკვირეულად გავა საინფორმაციო გამოშვება “მოამბის” შაბათის გამოშვებაში. ჯგუფის ინტერესის მთავარი საგანია პრობლემები, რომელსაც მოქალაქეები სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობისას, სოციალური პრობლემების მოგვარებისას, ჯანდაცვის სისტემასთან ურთიერთობისას, ბიზნესის წარმოების დროს, განათლების სისტემაში და სხვაგან აწყდებიან. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს მუშაობა ოთხ თემაზე.

კოდორის ხეობა და საგანგებო რეჟიმი

საანგარიშო პერიოდის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა კოდორის ხეობაში განხორციელებული სპეცოპერაცია იყო, რომელსაც “მოამბე” ერთი კვირის მანძილზე საგანგებო რეჟიმში აშუქებდა. 22–30 ივლისს “მოამბეში” ხორციელდებოდა პირდაპირი ჩართვები კოდორის ხეობიდან, ხაიშიდან, ხოლო საინფორმაციო გამოშვებებით ეთერში გასვლა ხშირად საათში ერთხელ გვიწვედა.

ამ კვირის განმავლობაში 22-23 საათზე ყოველდღიურად “მოამბე” ამზადებდა ერთსაათიან სპეციალურ გამოშვებას - სადამოს თოქ-შოუს, პოლიტიკოსებისა და საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით. გადაცემაში მოწვეული სტუმრები კოდორის ხეობაში მიმდინარე ოპერაციის შესახებ უახლეს ინფორმაციას აწვდიდნენ ტელემაყურებელს. გადაცემაში, რომელიც ჟურნალისტ ნათია სორდიას მიჰყავდა, შედგა დებატებიც ოპოზიციასა და უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის. “მოამბემ” მაქსიმალურად ასახა კოდორის თემაზე საზოგადოებაში არსებული განსხვავებული პოზიციები.

სპეცრეპორტაჟები

საანგარიშო პერიოდი გამოირჩეოდა აქტუალური მოვლენების სიუხვით საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, რაც ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ უმაღლეს რანგზე გამართულმა მნიშვნელოვანმა შეხვედრებმა განაპირობა.

6-10 ივლისს შედგა პრეზიდენტის ვიზიტი აშშ-ში და შეხვედრა ჯორჯ ბუშთან. “მოამბემ” განახორციელა პირდაპირი ჩართვები აშშ-დან და მოამზადა არაერთი ექსკლუზიური ინტერვიუ. საქართველოსათვის ეს უმნიშვნელოვანესი შეხვედრა “მოამბემ” სიღრმისეულად გააშუქა: მიმდინარე მოვლენებზე მომზადებული რეპორტაჟების გარდა, ტელემაყურებელს შევთავაზეთ ექსპერტული ანალიზი ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

11-13 ივლისს ასევე პირდაპირი ჩართვის რეჟიმში გაშუქდა ბაქო-ჯეიჰანის გახსნის საზეიმო ცერემონია თურქეთში. მომზადდა მიმოხილვითი რეპორტაჟები ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მნიშვნელობაზე.

19-30 ივლისს ახლო აღმოსავლეთში ვითარების ესკალაციის დროს “მოამბეს” ჰქონდა ექსკლუზიური მასალა ცხელი წერტილიდან - ხაიფადან, თავშესაფარის შესახებ, რომელშიც ქალაქის მცხოვრებლები, მათ შორის ქართველები აფარებდნენ თავს. ეთერში გავიდა ასევე სიუჟეტი საქართველოდან წასული ემიგრანტების შესახებ, რომლებიც ამ ომის დროს ისრაელის არმიაში მსახურობდნენ.

2 აგვისტოს პრეზიდენტის გამოსვლა პოლონეთში საინფორმაციო სამსახურმა 14.10 სთ-ზე პირდაპირ ეთერში გააშუქა. სექტემბრის პირველ ნახევარში მოსკოვის ჯგუფმა მოამზადა რეპორტაჟები სინგაპურიდან მსოფლიო ბანკის ფორუმის მსვლელობაზე, სადაც აღინიშნა საქართველოს წარმატებები ეკონომიკური რეფორმებისა და ბიზნესისათვის სასურველი გარემოს შექმნის თვალსაზრისით. ამ თემას, ფორუმის დაწყებამდე “მოამბემ” რამდენიმე სიუჟეტი მიუძღვნა, სადაც განმარტებული იყო მიმდინარე რეფორმების არსი და სახელმწიფოს მიღწევები.

18-23 სექტემბერს დიდი დრო დაეთმო “მოამბეში” საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის თემას და ინტენსიური დიალოგის რეჟიმის დაწყებას, რის შესახებაც ოფიციალური განცხადებები აშშ-ში პრეზიდენტის ვიზიტის დროს გაკეთდა. მომზადდა პირდაპირი ჩართვები და სიუჟეტები, სადამოს კი მოამბე ორჯერ სპეციალური გამოშვებით გავიდა ეთერში. საქართველოს პრეზიდენტის გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლის ტრანსლაცია პირდაპირ ეთერში მიმდინარეობდა.

სოციალური თემატიკა და რეაგირება ტელემედიაციებზე წერილებზე

სოციალური თემატიკა საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საანგარიშო პერიოდში “მოამბეში” მომზადდა რამდენიმე საინტერესო რეპორტაჟი ჯანდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მასალა საპატრიარქოს კლინიკაში არსებული დარღვევების შესახებ – 27 წლის ქალბატონს ექიმების შეცდომის გამო ამოკვეთეს საშვილოსნო, შემდეგ კი დოკუმენტაცია გააყალბეს, ხოლო აჭარაში არალიცენზირებულ კლინიკაში სიმსივნით დაავადებულ ქალბატონს უშედეგო ოპერაცია გაუკეთეს, თუმცა თანხა არ დაუბრუნეს.

ივლისიდან “მოამბეში” აქტიურად შემოდის ინფორმაცია ცხელი ხაზით, ამიტომ საანგარიშო პერიოდი ტელემედიაციებზე ზარებზე რეაგირების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. მხოლოდ 7-დან 14 აგვისტომდე საინფორმაციო სამსახურმა მოახდინა რეაგირება 11 შემოსულ ზარზე. ორ შემთხვევაში რესპოდენტებმა უარი თქვეს ინტერვიუზე. 9 შემთხვევაში მომზადდა კადრ-სინქრონი, ხოლო 4 შემთხვევაში ვრცელი რეპორტაჟი. ძირითადი თემები იყო: წყალმომარაგება, ანტისანიტარია, საბაჟოზე არსებული პრობლემები და სხვა.

მომზადდა ექსკლუზიური რეპორტაჟი ახალგაზრდაზე, რომელსაც მერვე სააგადმყოფოში რვა უშედეგო ოპერაცია გაუკეთეს. 20 ივლისს ასევე რედაქციაში შემოსული წერილის საფუძველზე მომზადდა სიუჟეტი მამაკაცზე, რომელიც აცხადებს, რომ ჯანმრთელი თირკმელი შეცდომით ამოკვეთეს (საქმე მოკვლევის სტადიაშია).

აგვისტოში სიღარიბის დაძლევის პროგრამის თემაზე სოფელ ჰერეთისწყაროში მომზადებულ სიუჟეტს რეაგირება მოჰყვა. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები სოციალური დახმარების სიაში შეიყვანა.

8 სექტემბერს გასულ სიუჟეტს საირმეზე წყალმომარაგებაში შექმნილ პრობლემასთან დაკავშირებით კი ოპერატიული რეაგირება მოჰყვა მერიის მხრიდან – 11 სექტემბერს გაიხსნა ახალი წყალსაქაჩი, რასაც თბილისის მერიც დაესწრო.

წერილებისა და სატელეფონო ზარების საფუძველზე ასევე მომზადდა შემდეგი სიუჟეტები:

ნაციონალური გამოშვებები:

- რუსული საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი ინვალიდ ქალზე, რომელიც არ მოახვედრეს სოციალური დახმარების პროგრამაში. სიუჟეტის შემდეგ ის დახმარების პროგრამაში ჩასვეს.

- რუსულ საინფორმაციოში გადაიცა სიუჟეტი ინვალიდ ბავშვზე, ირაკლი თორიაზე. როგორც ინვალიდს მას სხვადასხვა სახის დახმარება ეკუთვნის. სიუჟეტის გასვლის შემდეგ სოც-უზრუნველყოფის სამსახურმა ირაკლი თორიაძე ჩასვა სოციალური დახმარების პროგრამაში. ბავშვი ამჟამად საავადმყოფოშია და თერაპიას გადის.
- სატელეფონო ზარის საფუძველზე მომზადდა სიუჟეტი ავარიული სახლის შესახებ, დადიანის ქუჩაზე, ძველ შენობაში ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები.
- ასევე სატელეფონო ზარის საფუძველზე მომზადდა სიუჟეტი ავლაბარში მდებარე სომხურ ეკლესიაზე, რომელიც ძალიან დაზიანებულია. სიუჟეტის შემდეგ ეკლესიას რესტავრაცია უკეთდება.
- 20 ივლისს გადაცემული სიუჟეტის შემდეგ სოფელ მუშევანში არსებული შუქის პრობლემა, სოფლის ხელმძღვანელობამ მოაგვარა.
- სატელეფონო ზარის საფუძველზე ოსურმა საინფორმაციომ მოამზადა სიუჟეტი სოფელ გუჯარეთში არსებულ წყლის პრობლემაზე.
- ოსურმა საინფორმაციო სამსახურმა ითაყირის მოსახლეობის თხოვნით გადასცა სიუჟეტი საბაჟო-გამშვებ პუნქტზე კანონით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის თაობაზე.

ქართულ საინფორმაციოში მომზადდა მრავალი სიუჟეტი სატელეფონო ზარისა და წერილების საფუძველზე:

- სიუჟეტი ეკომიგრანტების პრობლემებზე – სატელეფონო ზარი
- ტუბდისპანსერის ირგვლივ მცხოვრებთა პრობლემებზე.
- ტელევიზიაში მოვიდა სამშვილიანი გაჭირვებული ქალი, რომელიც ვერ იღებდა დახმარებას. ამ თემაზე 7 ივლისს მომზადდა სიუჟეტი.
- ტელევიზიაში მოვიდა ავადმყოფი ბავშვის მამა, რომელსაც 8 უშედეგო ოპერაცია გაუკეთეს მერვე საავადმყოფოში. სიუჟეტი ეთერში 13 ივლისს გავიდა.
- 13 ივლისს სატელეფონო ზარის საფუძველზე მომზადდა სიუჟეტი იაშვილის სახელობის კლინიკის შესახებ, რომელსაც სახელმწიფო დაფინანსება შეუწყვიტეს.
- ზუგდიდის რაიონიდან შემოსული სატელეფონო ზარის საფუძველზე მომზადდა სიუჟეტი, რომელიც მოსახლეობასა და მაჟორიტარ დეპუტატს შორის მიწებთან დაკავშირებულ დავებს ეხებოდა.
- მოსახლეობამ მიმართა რუთაის კორესპოდენტს, რის შედეგადაც მომზადდა სიუჟეტი ტბის დაბინძურებასა და ზოოპარკის გაუქმების მოთხოვნის შესახებ.
- სატელეფონო ზარის საფუძველზე მომზადდა სიუჟეტი მთისძირის წყალთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

განათლების საკითხები და უმცირესობები

ივლის-აგვისტოში “მოამბე” აქტიურად აშუქებდა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმას. ეროვნული გამოცდების ამომწურავად და მრავალმხრივად გაშუქების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ასევე უმცირესობების განათლების საკითხებს. მომზადდა მასალა იმ სიახლეების შესახებ, რომელიც პირდაპირ შეეხებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს.

ამ მიმართულების ფარგლებში, “მოამბე” შევიდა ოსურ სოფელში კონფლიქტის ზონაში, საიდანაც საკმაოდ საინტერესო რეპორტაჟი მომზადდა დე-ფაქტო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსი ეროვნების საქართველოს მოქალაქეების შესახებ. ეთერში იყო სხვა რეპორტაჟებიც უმცირესობების თემაზე, მათ შორის სიუჟეტი რეგიონიდან აშუღლების შესახებ, და ებრაული ახალი წელი – ტრადიციები საქართველოში.

“მსოფლიო დღეს”

დავით დარჩიაშვილის საავტორო თოქ-შოუ “მსოფლიო დღეს” ამ პერიოდში შემდეგ თემებს დაეთმო: **პროფკავშირების პრობლემები მსოფლიოში და საქართველოში** – სტუმრები: გაი ბერნარდ რაიდერი – თავისუფალი პროფკავშირების საერთაშორისო კოფედერაციის გენერალური მდივანი; **სააკაშვილისა და ბუშის შეხვედრა. სამთავრობო კრიზისი უკრაინაში** – სტუმრები: ალექსანდრე რონდელი, ივლიანე ხაინდრავა, გივი თარგამაძე; **დიდი რვიანის სამიტი პეტერბურგში, კრიზისი ახლო აღმოსავლეთში და რეგიონული კონფლიქტები** – სტუმრები: გია ნოდია, ვეგენი კოჟოკინი – რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტოლოგი, ნიკა რურუა; **ახლო აღმოსავლეთის კრიზისი** – სტუმრები: გია ნოდია, გივი თევზაძე.

“არგუმენტი”

ივლისი-აგვისტოს პერიოდში თოქ-შოუს თემები აქტუალური მოვლენების შესაბამისად იყო შერჩეული. ამ პერიოდში თოქ-შოუს უპირველესი თემა მოახლოებული არჩევნები იყო. სტუდიაში მოწვეული სტუმრები, პოლიტიკოსები და ექსპერტები პირდაპირ ეთერში მსჯელობდნენ მიმდინარე მოვლენების შესახებ. მხარეთა პოზიციების გარდა, ტელემეაჟურებელს შესაძლებლობა ჰქონდა, ექსპერტული შეფასებებიც მოესმინა. სტუდიაში შედგა დებატებიც. “არგუმენტის” ორი სპეციალური გამოშვება დაეთმო ევროკავშირის ქვეყნების ლიტვისა და სლოვაკეთის შესახებ მომზადებულ დოკუმენტურ ფილმებს და განხილვას.

ამ პერიოდში “არგუმენტში” შემდეგი თემები იყო განხილული: **ოპოზიციის ბოიკოტი და სტრატეგია არჩევნებზე** – სტუმრები: აკაკი ასათიანი, მამუკა კაციტაძე, ნიკა გვარამია; **ოპოზიციის გააქტიურება, ზეწოლა მასმედიაზე, ხელისუფლების პასუხი** – სტუმრები: თინა ხიდაშელი, დავით ზურაბიშვილი, გიორგი ხაინდრავა, გიგა ბოკერია; **ოპოზიცია, ხელისუფლება და მედია. საშინაო პოლიტიკა და საგარეო ურთიერთობები** – სტუმრები: სალომე ზურაბიშვილი, მაია ნადირაძე, ბექა მინდიაშვილი, ემზარ ჯგერენაია; **22 ივლისი – კვირის მიმდინარე მოვლენები, კვიციანის აჯანყება** – სტუმრები: დავით ზურაბიშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, ნიკა გვარამია, გივი თევზაძე და კორი ველთი – აშშ-ს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის დირექტორის მოადგილე; **ანტიკრიმინალური ოპერაცია კოდორში, განხეთქილება ოპოზიციაში** – სტუმრები: დავით უსუფაშვილი, ფიქრია ჩხინაძე, ირინა სარიშვილი, გივი თარგამაძე, გიგია ბოკერია, თემურ მჟავია, დავით დარჩიაშვილი; **ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ოპოზიციის ბოიკოტი. პრეზიდენტის**

ეკონომიკური პროგრამა – სტუმრები: თინა ხიდაშელი, მამუკა კაციტაძე, გივი უგულავა, ლექსო ალექსიშვილი.

დოკუმენტური ფილმები

22 ივლისს და 5 აგვისტოს გავიდა “არგუმენტის” სპეციალური გამოშვებები - “გზა ევროკავშირისკენ” ლიტვის გამოცდილება და “ევროპული არჩევანი” სლოვაკეთის მაგალითი. მაყურებელს შევთავაზეთ ევროკავშირის წევრი ამ ორი ქვეყნის შესახებ მომზადებული დოკუმენტური ფილმები. ფილმის ჩვენების შემდეგ არგუმენტის ფორმატში მოეწყო ფილმის განხილვა და მსჯელობა ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე. გამოშვებების სტუმრები იყვნენ: ტორბენ ჰოლცე – საქართველოში და სომხეთში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი, რინარდას დეგუტისი – ლიტვის ელჩი საქართველოში, ირმა გეგეჭკორი – ფილმის ავტორი, ფედერიკო ბერნა – საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ვალერი ჩეჩელაშვილი, საბა კიკნაძე, კახა გოგოლაშვილი, ვასილ ჭყოიძე, გიორგი ხელაშვილი, დავით ბაქრაძე, კოტე გაბაშვილი, თამარ კოვზირიძე, მერაბ კაკულია, ეკა მეტრეველი.

“გზა ნატოსკენ”

სამხედრო-პოლიტიკურმა რედაქციამ ივლისი-სექტემბრის პერიოდში მოამზადა რამდენიმე ფილმი ციკლიდან “გზა ნატოსკენ”: “უკრაინის გზა - რუსეთის კოშმარული სიზმარი” შეეხება უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივებს. იგეგმება მომდევნო ფილმის გადაღება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან ინტენსიურ დიალოგზე გადასვლის შესახებ. რას ნიშნავს ინტეგრაციის ამ ეტაპზე გადასვლა, რამდენად მნიშვნელოვანია ის საქართველოსთვის და რა პერსპექტივა ახლავს თან ამ ეტაპს.

ივლისში ეთერში გავიდა ფილმი “გზა ნომერი 62”. ფილმი ეხება საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ობიექტს, რომლის ძირითადი მიზანი საქართველოსთან მოსაზღვრე ნატოს წევრი ქვეყნის წინააღმდეგ აქტიურად ფუნქციონირებაა. ფილმში მოთხრობილია ყველა იმ დეტალის შესახებ, რომელიც საზოგადოებისთვის საინტერესოა და ამ დრომდე დახურულ ინფორმაციას წარმოადგენდა.

ივლისი-სექტემბრის მანძილზე გრძელდებოდა ფილმების საჯარო ჩვენება ციკლიდან “გზა ნატოსკენ” პატრიოტთა ბანაკებში და სხვადასხვა არსამთავრობო ორგანიზაციაში, ფილმები აგრეთვე გაიგზავნა სამხედრო ნაწილებში და უახლოეს მომავალში მოეწყობა მათი ჩვენება.

“პროფესია ჯარისკაცი”

“პროფესია ჯარისკაცი” საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი პროექტია, რომელიც ითვალისწინებს დოკუმენტური ფილმების ციკლს სხვადასხვა

სამხედრო პროფესიის შესახებ. პირველი ფილმი “ბრიგადა” ეთერში 1 ოქტომბერს გავიდა. ფილმი მოგვითხრობს სენაკში განლაგებულ მეორე მსუბუქ – ქვეით ბრიგადაზე, მისი შექმნის ისტორიაზე, როგორ და რა შემაღლებლობით ფუნქციონირებს ის დღეს და რა სტრუქტურული ერთეულებისგან შედგება. სენაკის მეორე მსუბუქ-ქვეითი ბრიგადა პოსტ-საბჭოთა სივცრეში ერთადერთი სამხედრო ქალაქია, რომელიც ნატოს სტანდარტებით აშენდა. ფილმის ჰყავს გმირი, რომელიც მაყურებელს უხსნის ბრიგადაში შემავალი თითოეული სტრუქტურული დანაყოფის მნიშვნელობას.

მეორე ფილმი შეეხება **საზღვაო ძალებს**, წყალქვეშა მებრძოლებს, საზღვაო ქვეითებს, მათ დანიშნულებას და ზღვიდან საბრძოლო ოპერაციების წარმოებას. გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა ორ ახალ ფილმზე, - **“რადიაციული საფრთხე”** და **“რეკრუტები”**. პირველ ფილმში საუბარია იმ რადიაქტიური ნივთიერებების საფრთხეზე, რომლებიც ჯერ კიდევ გაბნეულია საქართველოს ტერიტორიაზე და გამიზნულადაა დატოვებული რუსი სამხედროების მიერ. “რეკრუტებში” საუბარია იმ სამხედრო კონტიგენტის მომზადებაზე, რომლებიც სამსახურს საკონტრაქტო სისტემით იწყებენ და ეს პროცესი ცნობილი ქართულ-ამერიკული “წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის” გაგრძელებაა.

„დღის თემა უკომენტაროდ“

1 სექტემბრიდან საზოგადოებრივი რადიო ატარებს მოსახლეობის ბლიც-გამოკითხვას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. დღის მთავარ თემასთან დაკავშირებით მოსახლეობის კომენტარი ყოველდღე 15.15 სთ-ზე გადის ეთერში. პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე საზოგადოების აზრის წარმოჩენას.

„დიალოგები“

7 სექტემბრიდან საზოგადოებრივი რადიოს გადაცემაში „შაბათ-კვირა 102, 4-ზე“ გადის ახალი რუბრიკა შავლეგ გეგეჭკორთან ერთად. წამყვანი მოწვეულ სტუმართან პირდაპირ ეთერში საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრობს.

„რეგიონის დროით“

13 ივლისიდან, საზოგადოებრივი რადიოს გადაცემაში „ღია სტუდია“ ყოველ ხუთშაბათს, 14.00 სთ-ზე ეთერშია საქართველოს პარლამენტისა და საზოგადოებრივი რადიოს ერთობლივი პროექტი. პროექტი აშუქებს თვითმმართველობის არჩევნებისთვის სამზადისს და ემსახურება მოსახლეობის ინფორმირებასა და ადგილზე პრობლემის განხილვას. ოპერატიულ ინფორმაციის გაშუქებასთან ერთად ხორციელდება პირდაპირი ჩართვები რეგიონებიდან და განსხვავებული მოსაზრებების წარმოჩენა.

კულტურულ-შემეცნებითი ღირებულებები

“ღამის საუბრები”

11 სექტემბრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერშია ახალი კულტურულ-ანალიტიკური თოქ-შოუ “ღამის საუბრები”. გადაცემა კვირაში სამჯერ - ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 00.15 სთ-ზე პირდაპირი ეთერში გადის. თოქ-შოუს სამი წამყვანი ჰყავს - ზურაბ ქარუმიძე, გია ბულაძე და გიგა ზედანია. წამყვანი გადაცემაში მოწვეულ სტუმრებს ესაუბრება კულტუროლოგიურ საკითხებზე. გადაცემის წამყვანი მიმოიხილავს იმ სფეროში მიმდინარე პროცესებს, რომელ საკითხსაც გადაცემა ეძღვნება. მოწვეული სტუმრები ვრცლად საუბრობენ ამ პროცესებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ. თოქ-შოუს ინტელექტუალური მაყურებლისთვისაა გათვლილი და გვთავაზობს სხვადასხვა კულტუროლოგიური საკითხისა და აქტუალური პრობლემის ღრმა ანალიზის.

სექტემბრის თვეში ეთერში გავიდა შემდეგი გადაცემები:

რიცხვი	წამყვანი	თემა	სტუმარი
11 სექტ.	ზურაბ ქარუმიძე	9/11-ის 5 წლისთავი: "არალიბერალური დემოკრატიისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის ჯახი - ვის უწერია გამარჯვება?"	გია ნოდია
13 სექტ.	გიგა ზედანია	ახალი რეგიონული იდენტობა.	დ.დარჩიაშვილი გ.თევზაძე
15 სექტ.	გია ბულაძე	სახელოვნებო უმაღლესი განათლება, ტრადიცია, ინოვაციები და მოსალოდნელი შედეგები.	გ. გუგუშვილი
18 სექტ.	ზურაბ ქარუმიძე	კოლექტიური მეხსიერება და ისტორია: რა ახსოვთ ქართველებს თავიანთი ისტორიიდან და რას ივიწყებენ?	ი.მინდაძე ს.ჯანაშია
20 სექტ.	გია ბულაძე	ხელოვნებათა სინთეზის შესახებ და სახვითობის როლი სინთეზის სფეროში, ეპოქის გამოწვევა.	ნ.მემანიშვილი. ლ.ონიაური
22 სექტ.	გიგა ზედანია	ფანტასტიკა როგორც ჟანრი.	ნოდარ ლადარია
25 სექტ.	ზურაბ ქარუმიძე	ქართული კულტურის თავისებურებანი	გაგა ნიჟარაძე
27 სექტ.	გია ბულაძე	ტრადიცია და ინოვაცია არქიტექტურაში	დავით აბულაძე
29 სექტ.	გიგა ზედანია	მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი	მ.დალანიძე, ლ.აბაშიძე

“საუკუნის პორტრეტები”

საზოგადოებრივი მაუწყებელი განაგრძობს დოკუმენტური ფილმების ციკლის “საუკუნის პორტრეტების” ჩვენებას. ივლისის თვეში გავიდა ორი ახალი დოკუმენტური ფილმი ზაქარია ფალიაშვილისა და მიტროფანე ლაღიძის შესახებ. ივლისის მეორე ნახევრიდან სექტემბრის პირველი ორი კვირის ჩათვლით განმეორებით ვუჩვენებთ ფილმები, რომლებმაც მაყურებლის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია: გალაქტიონი, კირიონ II, ლადო გუდიაშვილი, ეროსი მანჯგალაძე, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, იპოლიტე ხვიჩია, დოდო აბაშიძე და ავთო ვარაზი. სექტემბერში მაყურებელს შევთავაზებთ ორი ახალი დოკუმენტური ფილმი დიმიტრი ყიფიანისა და მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

“დოკუმენტური დეტექტივი”

დოკუმენტური ფილმების რედაქციის ახალი პროექტი “დოკუმენტური დეტექტივი” საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ოქტომბრიდან ყოველ პარასკევს, 22.00 საათზე გავა. დოკუმენტურ ფილმებში ასახულია ჩვენი უახლესი წარსულის სხვადასხვა მანკიერი მოვლენები, სამართალდამცავი სისტემის ტაბუდადებული თემები, გახმაურებული სასამართლო პროცესები, ციხიდან ყველაზე ფართომასშტაბური გაქცევები, ცნობილი კრიმინალური ისტორიების დღემდე უცნობი დეტალები. საზოგადოებისათვის ადრე უცნობი თემები ჩვენს დეტექტივში სულ სხვა რაკურსით წარმოჩინდება, რის საფუძველსაც წლების მანძილზე მდუმარე თვითმხილველთა, უშუალო მონაწილეთა ნაამბობი და უკვე დახურულ საქმეებზე ახლად მოძიებული მასალები იძლევა.

როგორ დაეცა სოხუმი...

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დრამატული ფინალის მეცამეტე წლისთავის დღეებში – 25-27 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების რედაქციამ ქართულ საზოგადოებას წარუდგინა სამნაწილიანი ეპოპეა „როგორ დაეცა სოხუმი“, რომელიც მომზადდა კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის კინოდოკუმენტალისტთა მიერ გადაღებული დოკუმენტური მასალის საფუძველზე.

ომის მიმდინარეობის ობიექტური სურათის აღსადგენად ფილმის შემოქმედებითმა ჯგუფმა რამდენიმე თვის განმავლობაში გადაამუშავა და გადაარჩინა უზარმაზარი ფაქტობრივი ვიდეომასალა.

ფილმში ობიექტურად არის გაშუქებული ქართული ჯარის წარუმატებლობის მიზეზები, ქრონოლოგიურად არის ნაჩვენები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საკვანძო მომენტები: ქართული ჯარის შესვლა სოხუმში 1992 წლის 14 აგვისტოს, ბრძოლები გუმისთაზე, ფსოლზე, ტამიშთან, გაგრის დაცემა, აფხაზთა და დაქირავებულ მებრძოლთა რაზმების გააქტიურება ომის მეორე ეტაპზე, სოხუმის დაცემა.

„ლატერნა მაგიკა“

გრძელდება კინოპროექტი „ლატერნა მაგიკა“. გადაცემის ავტორი და წამყვანია ნანა ჯანელიძე. ივლისი-სექტემბრის პერიოდში გადაცემაში ვუხვებით შემდეგი ფილმები:

- 1 ივლისი - „ცხელი შუადღე“ (რეჟისორი - სიდნი ლუმეტი)
გადაცემაში სტუმრად მოწვეული იყო პოლიტოლოგი ვასილ კაჭარავა;
- 7 ივლისი - „ფრანკენშტეინი“ (რეჟისორი - ჯემს უეილი)
- 14 ივლისი- „ფანფან-ტიტა“ (რეჟისორი - კრისტიან ჟაკი)
- 21 ივლისი - „ტრამვაი სახელად „სურვილი““ (რეჟისორი - ელია კაზანი)
გადაცემაში სტუმრად მოწვეული იყო მწერალი რეზო თაბუკაშვილი;
- 28 ივლისი – „პრეზიდენტის ამალა“ (ალან პაკულა)
გადაცემაში სტუმრად მოწვეული იყო პოეტი რატი ამადლობელი;
- 4 აგვისტო - „ბიძაჩემი“ (რეჟისორი - ჟაკ ტატი)
გადაცემაში სტუმრად მოწვეული იყო რეჟისორი ლევან წულაძე;
- 11 აგვისტო - „ყველაფერი ევას შესახებ“ (რეჟისორი - ჯოზეფ მანკევიჩი)
გადაცემაში სტუმრად მოწვეული იყო ფსიქოლოგი ნინო მახაშვილი;
- 18 აგვისტო გამეორებით გავიდა „მამაკაცი და ქალი“ (რეჟისორი - კლოდ ლელუში)
- 25 აგვისტო – „რაც ოთარი წავიდა“. (ჟიული ბერტუჩელი)
- 8 სექტემბერი- „ბიჭები და გოგონები“ (რეჟისორი - ჯოზეფ მანკევიჩი)
გადაცემაში მოწვეული იყო სტუმარი, ქორეოგრაფი გია მარღანიას;
- 16 სექტემბერი - „პარიზი ჩვენ გვეკუთვნის“ (რეჟისორი - ჯაკ რივეტი)
- 23 სექტემბერი - „კარზე ვინ მიკაკუნებს“ (რეჟისორი - მარტინ სკორსეზე)
- 30 სექტემბერს - „ელისო“ (რეჟისორი - ნიკოლოზ შენგელია)
გადაცემაში სტუმრად მოწვეული იყო ისტორიკოსი მარლენ შენგელია.

“ფოლკლორი”

ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში გადაცემა “ფოლკლორი” რეგულარულად ყოველ კვირას გადიოდა ეთერში. ივლისის შუა რიცხვებში გადაცემა დაეთმო ფესტივალ “არტ-გენის” გაშუქებას. აგვისტოში მაყურებელს განმეორებით შევთავაზეთ გადაცემები ანსამბლ “ფესვებისა” და “სორუმის” შესახებ, ასევე განმეორებით გავიდა გადაცემა გარემიქსებული ფოლკლორის შესახებ. გარდა ამისა ვუხვებით გადაცემა ანსამბლ “შვიდკაცას” შესახებ, “ლომისობა”, “მინანქარი”, “განათლება” – თუ როგორ ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფოლკლორის საკითხების სწავლება. “ფოლკლორის” უკანასკნელი გადაცემა სექტემბერში დაეთმო ქართული ფოლკლორული კოლექტივისა და ფესტივალ “ჩვენებურების” ორგანიზატორების ვიზიტს თურქეთში, სადაც შედგა ფოლკლორის ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორული კოლექტივები.

ამ პერიოდში “ფოლკლორის” შემოქმედებითი ჯგუფი იმყოფებოდა ხევსურეთში, სადაც მოხდა ხევსურეთის რამდენიმე სოფელში ქართული ხელჩართული ბრძოლების უხუცესი ოსტატების ჩაწერა, ბარისახოში საბრძოლო და საყოფაცხოვრებო ნივთების ადგილობრივი მუზეუმის გადაღება. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ფესტივალის გასაშუქებლად გადამდები ჯგუფი ხელვაჩაურში, ხოლო კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ფესტივალის

გაშუქებლად თურქეთის ქალაქ ინეგოლში იმყოფებოდა. “ფოლკლორის” შემოქმედებითი ჯგუფი დაესწრო 23-24 სექტემბერს ჩარგალში გამართულ ფესტივალს “ვაჟაობა”. ასევე გავაშუქეთ 25-29 სექტემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში მიმდინარე მრავალხმიანობის მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმი.

„რეკორდი“

აგვისტოდან საზოგადოებრივი რადიოს დილის გადაცემა „პიკის საათი“ შაბათ-კვირას გვთავაზობს ახალ ხუთწუთიან რუბრიკას. „რეკორდი“ სახალისო ხასიათის შემეცნებითი რუბრიკაა. მსმენელი ამ რუბრიკის მეშვეობით მიიღებს ინფორმაციას საინტერესო რეკორდების, დაუჯერებელი მიღწევების შესახებ. რუბრიკა ადამიანის შესაძლებლობათა სახალისო კუთხით წარმოჩენას ემსახურება და მუსიკალური ფონის თანხლებით გადის ეთერში.

„ეს საინტერესოა“

აგვისტოდან შაბათ-კვირას დილის „პიკის საათის“ ეთერში გადის ახალი შემეცნებითი რუბრიკა „ეს საინტერესოა“. ხუთწუთიანი რუბრიკა მოგვითხრობს დაუჯერებელი ამბების, თითქოს ჩვეულებრივი, მაგრამ ორიგინალური მოვლენების შესახებ. ახალი რუბრიკა მიზნად მსმენელისთვის უჩვეულო მოვლენების გაცნობას და სამყაროს საინტერესო კუთხით წარმოჩენას ისახავს.

„ინტერმედია“

1 სექტემბრიდან საზოგადოებრივი რადიოს ეთერში ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს 13.05 სთ-ზე გადის ინფორმაციული ხასიათის 15 წუთიანი პროგრამა კლასიკურ მუსიკაზე. გადაცემის ავტორი და წამყვანია მარიკა ჩიჯავაძე. „ინტერმედია“ კვირის მანძილზე საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მუსიკალურ მოვლენებს აშუქებს. პროგრამაში გამოყენებულია ჩანაწერები (ინტერვიუ, კომენტარი, მუსიკალური ილუსტრაცია და სხვა).

„სილუეტები“

სექტემბრიდან ყოველ პარასკევს 11.05 სთ-ზე ეთერშია ილია მხეიძის ახალი გადაცემა „სილუეტები“, რომელიც უცხოეთში მოღვაწე საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრების უცნობ დეტალებზე მოგვითხრობს.

„ჩემი კოლექცია“

ნათია ხოშტარიას რუბრიკაში „ჩემი კოლექცია“ მსმენელი ეცნობა მუსიკალურ კომპოზიციას ცნობილი ადამიანების კოლექციიდან. სახელდობრ, თუ რა მიმდინარეობის მუსიკას, რომელ შემსრულებლებს უსმენენ ისინი დასვენების, მგზავრობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა დროს. რუბრიკა რესპონდენტების მოკლე წარდგენითა და მუსიკალური ნომრითაა გაფორმებული. იგი ეთერში 1 სექტემბრიდან ყოველ ორშაბათსა და ოთხშაბათს 09.40 სთ-ზე გადის.

„გულივერი“

სექტემბრიდან დილის “პიკის საათის” ეთერშია შემეცნებით-გასართობი ხასიათის რუბრიკა “გულივერი” – მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო. გადაცემა ქვეყნების, ქალაქების, მუზეუმებისა და სხვა ღირსშესანიშნაობების ისტორიის შესახებ მოგვითხრობს. გადაცემა ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებებს მიმოიხილავს და ტურისტებისთვის საჭირო ინფორმაციას გვთავაზობს.

„ხელით ნაწერი“

სექტემბრიდან საზოგადოებრივი რადიოს პირველი არხის ეთერშია ხელნაწერთა ინსტიტუტისა და საზოგადოებრივი რადიოს ერთობლივი პროექტი “ხელით ნაწერი”. რუბრიკაში განხილულია ინსტიტუტში დაცული უნიკალური ხელნაწერები, მოთხრობილია მათი წარმომავლობის ისტორიისა და უნიკალური ფასეულობის შესახებ. რუბრიკაში ასევე ჩართულია ექსპერტის აზრი. პროექტის მიზანია საზოგადოებას გააცნოს დაცული უნიკალური ხელნაწერები, განმარტოს მათი მნიშვნელობა და ხელი შეუწყოს ისტორიული ღირებულების მქონე მასალების პოპულარიზაციას.

რადიოსპექტაკლები

საზოგადოებრივი რადიოს ეთერში ივლისში გავიდა ახალი რადიოსპექტაკლი – **კონი ფრუაუფის „არც შემოდგომა, არც გაზაფხული“**. მონაწილეები: ზინა კვერენჩხილაძე, გივი ჩუგუაშვილი, სანდრო ჯანგირაშვილი, დათო ველიჯანაშვილი. ამ პერიოდში რადიოეთერში ახალი რედაქციით გავიდა **ლევან გოთუას „ნისლი ნახატარის ტყეში“**. მონაწილეობენ: ვასო გოძიაშვილი, გიზო სიხარულიძე, ლადო ცხვარიაშვილი, მერი მიქელაძე, ეთერ სიხარულიძე, გივი ჩუგუაშვილი, სანდრო ჯანგირაშვილი, დათო ველიჯანაშვილი.

2 აგვისტოს გავიდა **მიხეილ ანთაძის რადიოსპექტაკლი „ცოფი“**. მონაწილეობენ ნიკა წერედიანი, თამუნა გეგეჭკორი, თამარ მაყაშვილი, ლამზირა ჩხეიძე, მერაბ შარიქაძე, დავით როსტომაშვილი, მერაბ ბრეკაშვილი და სხვა.

სექტემბრიდან ეთერშია რადიოსერიალი – **კობა ცხაკაიას „დაღლილი ანგელოზის სამი ბუმბული“**. მონაწილეობენ: დათო როსტომაშვილი, ლილი ხურითი, ნანა ხურითი, ნუკრი არჩვაძე. 25 სექტემბრიდან რადიოსერიალი – **ერის მარია რემარკის „ტრიუმფალური თაღი“**. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, დარეჯან ხარშილაძე, ქეთი ჩაჩუა, ლამზირა ჩხეიძე, დათო როსტომაშვილი, ნუკრი არჩვაძე და სხვა.

მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია

ტოლერანტობის და ეროვნული ინტეგრაციის პროგრამა

საზოგადოებრივი მაუწყებელი მონაწილეობას მიიღებს ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის პროგრამაში (NITG), რომელიც საქართველოში USAID –ის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ტოლერანტობისა და ეროვნული ერთიანობის თვითშეგნების გაზრდას.

ამ პროგრამის მედია კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის ხელშეწყობას, მათ დისკუსიაში ჩართვას, უმცირესობებისა და ტოლერანტობის პრობლემატურ საკითხებზე საზოგადოებრივი დებატების გააქტიურებას, საზოგადოებრივი მაუწყებელი განახორციელებს. მედია კომპონენტი სამი ტიპის აქტივობას ითვალისწინებს:

- თოქ-შოუ უმცირესობის წარმომადგენელთა მონაწილეობით;
- დოკუმენტური ფილმები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურული ტრადიციების შესახებ;
- სოციალური რეკლამები.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან არსებული ეთნიკური და რელიგიური საბჭოებისათვის პროექტის გაცნობისა და მისი სრულყოფის მიზნით 22 სექტემბერს გაიმართა საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობის შეხვედრა აღნიშნულ ჯგუფებთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ გაეროს ასოციაციის და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID –ის) წარმომადგენლები.

შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად ენობრივი ბარიერის არსებობა და ამ პრობლემის დაძლევის აუცილებლობაზე ისაუბრეს. ნაწილის აზრით, უმცირესობების ინტეგრაციისათვის საჭიროა მათი ქართულ საინფორმაციო სივრცეში მოქცევა. საბჭოს წევრების რეკომენდაციით სასურველია, რომ წამყვანი იყოს რომელიმე უმცირესობის წარმომადგენელი და კარგი ქართულის მცოდნე.

ნაციონალური “მოამბე”

საანგარიშო პერიოდში პირველი რადიოს ეთერში ყოველდღიურად მზადდებოდა ხუთწუთიანი საინფორმაციო გამოშვებები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, რუსული და აზერბაიჯანულ ენებზე. რადიო-გამოშვებებში სრულად აისახებოდა მიმდინარე დღის მთავარი მოვლენები. ამასთან, თითოეულ ენაზე გადაიცემოდა ეროვნულ უმცირესობათა წარმომავლობის ქვეყნებში მომხდარი მთავარი ამბები.

ყოველდღიურ რუსულენოვან სატელევიზიო გამოშვებებში შუქდებოდა მიმდინარე დღის მთავარი მოვლენები. მნიშვნელოვან თემებზე კეთდებოდა შესაბამისი კომენტარები. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდებოდა, როგორც სატელეფონო, ისე პირდაპირი ჩართვები.

რეგულარულად კეთდებოდა ყოველკვირეული გადაცემები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე, რომლის პირველ ბლოკში ვაშუქვდით კვირის მთავარ მოვლენებს. რაც შეეხება მეორე ბლოკს, განვილი პერიოდში შემდეგი თემები იყო წარმოდგენილი:

აფხაზური

სოსუმიდან ჩამოყვნილ აფხაზ ბავშვს თბილისში თვალის ოპერაცია უფასოდ გაუკეთეს. მომზადდა სიუჟეტი საავადმყოფოდან. სარეაბილიტაციო პერიოდში აფხაზმა ბავშვმა თბილისი პირველად ნახა და ძალიან მოეწონა. გაკეთდა საინტერესო სიუჟეტი შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახის შესახებ. მომზადდა სიუჟეტების ციკლი აფხაზებზე, რომლებიც ომის შემდეგ საქართველოში დარჩნენ. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აგრეთვე გაეროს პროექტის ფარგლებში ქართული ზღაპრების აფხაზურად გამოცემა.

ოსური

ჩვენი გადამღები ჯგუფი ოსმა უხუცესმა მარიამობის დღესასწაულის გადასადებად მიუვალ ოსურ სოფელში შეიყვანა. მომზადდა სიუჟეტი ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსების პრობლემების შესახებ. დაბრუნებულ ოსებს განსაკუთრებით აწუხებდათ პასპორტების პრობლემა, რაც ჩვენს წინა პერიოდში მომზადებული სიუჟეტების შემდეგ მნიშვნელოვნად მოგვარდა. ასევე მომზადდა პორტრეტი ოსი ეროვნების პროფესორზე, რომელიც საქართველოში დაბრუნდა და აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწევა.

სომხური

სომხებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სომეხი ეროვნების ახალგაზრდებმა ქართულის სწავლა აქტიურად დაიწყეს. მომზადდა სიუჟეტები რეგიონებში რესურს-ცენტრების გახსნის თაობაზე. სომეხი ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხნენ. მომზადდა სიუჟეტები თვითმმართველობის არჩევნების შესახებ. გადაცემებში სისტემატურად შექდებოდა რელიგიური დღესასწაულები.

აზერბაიჯანული

ამ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა ეროვნული გამოცდები იყო. ამ საკითხს არაერთი სიუჟეტი დაეთმო. სხვა საინფორმაციო გამოშვებების მსგავსად, აზერბაიჯანული გამოშვებაშიც გაშუქდა მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნებისათვის სამზადისი. ასევე მომზადდა სიუჟეტები აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწეების შესახებ.

რუსული

მომზადდა ვრცელი სიუჟეტები ოსეთის შესახებ, მათ შორის: ოსური ჯგუფის შესვლა ოსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ცხოვრების დონე ოსურ

სოფლებში, სკოლების სავალალო მდგომარეობა. ოსი ბავშვები, ზეწოლის მიუხედავად, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში აბარებენ. მომზადდა რეპორტაჟი აჭარიდან, მაჰაჯირების სოფლის შესახებ. მომზადდა ციკლი - არაქართველი ბავშვები ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით აბარებენ. ყურადღება გამახვილდა მილენიუმის თემაზე (დაიწყო პროექტის განხორციელება რეგიონებში). ვაკეთებთ სიუჟეტების ციკლს - საქართველოს რეგიონები. ჟურნალისტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩადის და ერთი დღის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის ადათ-წესებითა და პრობლემებით ცხოვრობს.

საბავშვო მიმართულება

ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში საზოგადოებრივი მაუწყებლის საბავშვო მიმართულება აქტიურად მუშაობდა, როგორც არსებულ, ისე ახალ პროექტებზე. დამზადდა ახალი საბავშვო ვებ-გვერდი (<http://www.gpb.ge/sabavshvo>), რომელიც პატარა მომხმარებელს საყვარელ გმირებთან შეხვედრის შესაძლებლობას მისცემს. ვებ-გვერდზე განთავსებულია თამაშები, რომელიც გართობასთან ერთად, ბავშვების განვითარებასაც უწყობს ხელს. 17 სექტემბერს სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თბილისის მერიასა და „ბასტი ბუბუს“ სტუდიასთან ერთად გამართა საქველმოქმედო კონცერტი რიყეზე. კონცერტის წამყვანი ბავშვებისთვის საყვარელი გმირი ბაბილინა იყო. რიყეზე უამრავმა ბავშვმა მოიყარა თავი და საზეიმოდ აღნიშნა ახალი სასწავლო წლის დაწყება. კონცერტი პირდაპირ ეთერში გადაიცა.

ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ახალი საყმაწვილო გადაცემა “პერსპექტივაზე”, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ორქტომბრიდან გავა.

„პერსპექტივა“

მიმდინარეობს მუშაობა ახალ საყმაწვილო შოუ-ვიქტორინაზე “პერსპექტივა”. საზოგადოებრივი მაუწყებელი მე-10-მე-12 კლასელებს საშუალებას აძლევს გაარკვიოს, რომელ პროფესიაში იქნება ის წარმატებული. ამისათვის ბავშვმა უნდა შეავსოს გადაცემის საიტზე მოთავსებული ტესტი და დაელოდოს სტუდიაში მოწვევას. სტუდიაში მოწვეული 20 ახალგაზრდა რამდენიმე კონკურსს გაივლის, რის შედეგადაც წამყვანი გამოავლენს გამარჯვებულს. თამაში ხუთი ტურისგან შედგება: პირველ ტურში წამყვანი სვამს ხუთ შეკითხვას ზოგადი განათლებიდან. მეორე ტურში შემოდის სპეციალური სტუმარი, რომელიც საკუთარი პროფესიის შესახებ მოგვითხრობს და მოთამაშეები ამ პროფესიასთან ასოცირებულ შეკითხვებს პასუხობენ. მესამე ტურში დასმული იქნება კითხვები დოკუმენტური ფილმების ციკლიდან “საუკუნის პორტრეტები”. კადრები ფილმიდან ეკრანზეც გავა. მესამე ტურში მოთამაშეები ბლიც-შეკითხვებს პასუხობენ და ამ ტურში გამარჯვებული საბოლოოდ ეთამაშება წამყვანს. თამაშის ყველა მონაწილე საინტერესო პრიზებით დასაჩუქრდება, ხოლო გამარჯვებული სპეციალურ ჯილდოს მიიღებს. მზადდება ახალი დეკორაცია აღნიშნული პროექტისთვის.

“ბაბილინა”

ივლისსა და სექტემბერში მომზადდა “ბაბილინას” ორმოცამდე გამოშვება. აგვისტოში გადაცემა განმეორების რეჟიმში გადიოდა ეთერში. ახალი გადაცემები შემდეგ საკითხებს შეეხო: „ტყუპები“ – ამ გადაცემაში ბავშვებმა სიმღერებით გაიგეს, თუ როგორები არიან ტყუპები. „მესურათე“ – ამ გადაცემაში ბავშვებს ერთ კეთილ მესურათეზე ვუამბეთ, რომელიც ცდილობდა ყველა ბავშვისთვის ღიმილი ეჩუქებინა. „ბომბორა“- ამ გადაცემით ბავშვებმა გაიგეს, რომ არასოდეს არ არის გვიან გამოსწორება. „სამი ჯადოსნური სიტყვა“

- გმადლობ, ბოდიში, თუ შეიძლება - ამ სამი ჯადოსნური სიტყვის ცოდნა ყველა ბავშვისთვის აუცილებელია, გადაცემაში ბაბილინამ ბავშვებს ეს ჯადოსნური სიტყვები სიმღერით და თამაშით ასწავლა. „წვიმა“ - ამ გადაცემით ბავშვებმა გაიგეს, თუ როდის წვიმს და როგორ უნდა მივხვდეთ საშიშია თუ არა ჭექა-ქუხილი. „სალამურას თავგადასავალი“ - ამ გადაცემით ბავშვებს ავუსხენით, რომ სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე. „ია“- ამ გადაცემაში ბავშვებმა სიმღერებით ბევრი საინტერესო ამბავი გაიგეს იაზე. „მელია“ ბავშვებმა გაიგეს, თუ როგორ მოატყუა ცბიერმა მელიამ გულუბრყვილო კურდღელი, შესაბამისად გაიგეს სიტყვა - „გულუბრყვილო“-ს მნიშვნელობა. „თოჯინები“ ამ გადაცემით ბავშვებმა გაიგეს, რომ სათამაშოებთან ცუდად მოქცევა კარგი საქციელი არ არის. „კაპიტანი“ ბავშვებმა სიმღერების და ზღაპრის დახმარებით გაიგეს, თუ რა საინტერესოა მეზღვაურის ცხოვრება. „მძინარე მზეთუნახავი“ - ბაბილინა ბავშვებს უამბობს ზღაპარს, საუბარია სიკეთეზე, რომ მამაცი ადამიანები ბოროტებს ყოველთვის ამარცხებენ. „რაინდები“ - გადაცემა ბიჭებისთვის: თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი რაინდი: მამაცი, კეთილი, შრომისმოყვარე. „ბემბი“ - ბაბილინა ბავშვებს უამბობს ზღაპარს, საუბრობს ბუნების მოვლის აუცილებლობაზე. „ბაბუები და შვილიშვილები“ - ბაბუებს დიდი ამაგი აქვთ თავის შვილიშვილებზე, ამიტომ ისინი დიდ სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებენ. „ჩექმებიანი კატა“ - ზღაპარი იმაზე, თუ როგორ უერთგულა კატამ თავის პატრონს. „ჩუნგა-ჩანგა“ - მოგზაურობა სხვადასხვა კუნძულზე. „ურჩხული და მზეთუნახავი“ - მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ შეიძლება სიკეთის კეთებით გახდეს ლამაზი, სათნო და ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

„ქცევის წესები“ - ამ გადაცემაში ზღაპრის გმირების დახმარებით და სიმღერებით ბავშვებმა ისწავლეს ქცევის წესები. „საქათმი“ - ბავშვებმა გაიგეს ერთი ამბავი, რომელიც საქათმეში დატრიალდა. „თოჯინები“ - გადაცემა თოჯინებში ბაბილინამ მხიარული სიმღერებით ბავშვებს ასწავლა სათამაშოებთან მოქცევა. „ფერიები“ - ბავშვებმა ზღაპრის გმირების დახმარებით დაინახეს სიკეთის ძალა. „ფუტკარი“ - ბავშვებმა ბაბილინას ზღაპრის და ნახატი ფილმის დახმარებით გაიგეს, თუ სად ცხოვრობს ფუტკარი და როგორ ამზადებს თაფლს. „გვირილა“ - ბაბილინამ სიმღერით და მხიარული ზღაპრით ბავშვებს გვირილა, მინდვრის ყვავილი გააცნო. „კალის ჯარისკაცი“ - ამ ზღაპრის გმირის დახმარებით ბაბილინა ცდილობს ბავშვებს გააგებინოს, თუ რა არის ერთგულება. „დათუნია ბინგო“ - ბაბილინა ბავშვებს უამბობს ზღაპარს დათუნიაზე, რომელიც ყოველთვის მოწყენილი იყო, რადგან მეგობრები არ ჰყავდა. ბაბილინა ბავშვებს ზღაპრის მიხედვით ასწავლის, თუ რა მნიშვნელოვანია მეგობარი. „ფერები“ - ზღაპრებისა და სიმღერების დახმარებით ბავშვები სწავლობენ ცისარტყელას ფერებს, რომ ძირითადი ხუთი ფერისგან შეიძლება სხვადასხვაგვარი ფერის მიღება. „სამი ფორთოხალი“ - ბავშვი ბაბილინასა და მაყურებელს თვითონ უამბობს ზღაპარს. „კომბლე და ბატები“ - ბავშვები ჰყვებიან ზღაპრებს, ბაბილინა მათ ეხმარება. „წყლის სამყარო“ - ბაბილინა ბავშვებს უამბობს ზღაპარს და ამ გზით აცნობს წყლის ბინადრებს, უამბობს თევზებზე და საერთოდ წყლის სამყაროზე.

საბავშვო გმირები

დილის დიჯეი

დილის დიჯეი და მისი მუზონები საზოგადოებრივი არხის დილის ეთერის გმირები არიან. ისინი განაგრძობენ ბავშვების სურვილების შესრულებას. ამ

პერიოდში მუზონები ეწვივნენ თავის თანატოლებს კარატეს კლუბში. ისინი ცდილობდნენ გაეგოთ, რაში მდგომარეობს აღმოსავლური ორთაბრძოლების საიდუმლო. ამაში მუზონებს პატარა კარატისტები და მათი მასწავლებელი დაეხმარა. მუზონები ბავშვებს აჩვენებენ, რომ ოთახის დალაგება ადვილი სულაც არ არის, ამიტომ დალაგების გეგმა წინასწარ შეიმუშავეს და გვაჩვენეს, როგორ შეიძლება მხიარულად დალაგდეს სტუდია. მუზონები აგრეთვე მეგობრობენ სხვადასხვა სკოლებთან, სადაც გამოკითხვას ატარებენ სხვადასხვა თემაზე, ინტერვიუებს იღებენ თანატოლებისაგან, ეკითხებიან თუ რა მუსიკას უსმენენ, რომელი კლიპი მოსწონთ და რატომ. გამოკითხვის შედეგების მიხედვით ირჩევა მუსიკალური კლიპები დილის გადაცემებისთვის.

მწვანე ვიდეო

მწვანე ვიდეო ბავშვებს სთავაზობს მოგზაურობას ბუნებაში, საუბრობს ეკოლოგიაზე. გასულ თვეებში გადაცემის თემატიკა შემდეგი იყო: ბუნების დამცველი მწვანე კაქტუსი ბავშვებს უამბობდა წყალქვეშა სამყაროზე, ვეშაპების ცხოვრებაზე, ზვიგენების ხასიათზე, ვეფხვების სამეფოზე, როგორ ცხოვრობენ დედა, მამა და შვილი მაიმუნი, რა სარგებლობა მოაქვთ ხეებს, როგორ მზადდება ქაღალდი, რა ტრადიციებს იცავენ ბუკემოტები და სხვა.

მე თვითონ

მე თვითონ - გადაცემის მთავარი გმირია ფუსფუსა. ასევე მას ჰყავს დამხმარე ფუსფუსები. გადაცემის სლოგანია - დავეხმაროთ ყველას, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდება და გავაკეთოთ ყველაფერი საკუთარი ხელით. ამას ასწავლიან ფუსფუსები მაყურებელს. გასულ გადაცემებში ბავშვებმა თავისი ხელით დაამზადეს სამაჯური და კალეიდოსკოპი. ფუსფუსებმა მთავარი ფუსფუსას დახმარებით ისწავლეს მაგიდის გაწყობა, თავისი ხელით მოამზადეს გემრიელი დესერტი, შემდეგ გადაცემაში კი დაამზადეს ბუტერბროდები, რომლებსაც მობილური ტელეფონის ფორმა ჰქონდა.

„სტუდია ლიმონათი“

3 სექტემბრიდან საზოგადოებრივი რადიოს ეთერშია საყმაწვილო პროგრამა “სტუდია ლიმონათი” თათა რატიშვილთან ერთად. გადაცემის სტუმრები არიან გამორჩეული ბავშვები – ნორჩი მუსიკოსები, ლიტერატორები, მხატვრები, მოცეკვავეები, სპორტსმენები, სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდები. წამყვანთან ინტერვიუში ბავშვები საუბრობენ არა მხოლოდ საკუთარ გატაცებებზე, არამედ გამოთქვამენ აზრს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე. გადაცემა ათწუთიანია და ეთერში გადის ყოველ სამშაბათს 16.05 სთ-ზე.

საბავშვო ვიქტორინა

2 სექტემბრიდან ყოველ სამშაბათსა და პარასკევს 21.05 სთ-ზე საზოგადოებრივი რადიოს პირდაპირ ეთერშია საბავშვო ვიქტორინა. ვიქტორინა გადის გადაცემა „იყო და არა იყო რას“ შემდეგ და განკუთვნილია 3-9 წლის ასაკის ბავშვებისთვის. ვიქტორინის კითხვები შედგენილია იმ ზღაპრის მიხედვით,

რომელიც “იყო და არა იყო რაში” ისმინენ ბავშვები. თამაშმა უკვე გამოიწვია პატარა მსმენელების დიდი ინტერესი. ისინი აქტიურად რეკავენ სწორი პასუხის გასაცემად და ესაუბრებიან წამყვანს. ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები საჩუქრებიან საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცემული ხალხური ზღაპრებისა და ვაჟა-ფშაველას ზღაპრების კომპაქტ-დისკებითა და აუდიოკასეტებით.

„ზღაპარი 100.1“

რადიო 2 ვეთავაზობს ახალ საბავშვო პროექტს “ზღაპარი 100.1”. გადაცემაში 3-დან 9-წლამდე ასაკის ბავშვები მათთვის საყვარელ ზღაპრებს ჰყვებიან. ბავშვებისთვის ზღაპრის ასეთი სახით მიწოდება ბევრად უფრო საინტერესოა, რადგან თანატოლები ერთმანეთისთვის გასაგებ ენაზე მეტყველებენ და გემოვნებაც მეტ-ნაკლებად მსგავსი აქვთ.

ანიმაცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ყოველდღე გადის მრავალფეროვანი ანიმაციური ფილმების პროგრამა, რომელიც გათვლილია სხვადასხვა ასაკის ბავშვებზე.

სექტემბრიდან დაიწყო ახალი საბავშვო სერიალი „ტარზანი“, რომელიც ეთერში შაბათ-კვირას, 15:20 სთ-ზე გადის. ჩვენს პატარა მაყურებლებს ასევე ვთავაზობთ რუსულ ზღაპრებსა და სრულმეტრაჟიან ანიმაციურ ფილმებს.

სპორტული მიმართულება

საზოგადოებრივი მაუწყებლის სპორტული რედაქცია ივლისში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის რეჟიმში მუშაობდა, აგვისტოში კი სატელევიზიო საზაფხულო არდადეგებთან დაკავშირებით გადაცემები „არენა“ და „ავტოგრაფი“ ეთერში არ გასულა. სამაგიეროდ ამ თვეში, კერძოდ, 6, 13, 20 და 27 რიცხვებში სტაბილურად გადაიცემოდა 30 წუთიანი გადაცემა „მსოფლიო რაგბი“.

მიმდინარე წლის სექტემბერში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მაყურებელს მრავალფეროვანი სპორტული პროგრამა შესთავაზა. პირველი არხით გადაიცა 14 სპორტული რეპორტაჟი და 8 სტუდიური გადაცემა, რომელთა საერთო ქრონომეტრაჟმა 32 საათს გადააჭარბა.

“არენა“

სპორტული თოქ-შოუ “არენა” ივლისში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს აშუქებდა. აგვისტოს ერთოვანი შესვენების შემდეგ 4 სექტემბრიდან “არენა“ ყოველ ორშაბათს სადამოს ეთერში განახლდა. გადაცემის წამყვანმა და შემოქმედებთმა ჯგუფმა მაყურებელს ყველაზე მნიშვნელოვანი და ამ პერიოდისთვის ოპერატიული თემები შესთავაზეს. საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ევროპის შესარჩევი ტურნირის მატჩები ჩაატარა საქართველოში, ავსტრიასა და ფინეთში. პირველი ეტაპის წარმატებებზე სტუდიის სტუმრები იყვნენ კალათბურთელები და მწვრთნელები. თოქ-შოუმ საკმაოდ დიდი დრო დაუთმო ქართველ მოჭიდავეებს. ძიუდოში საქართველოს ნაკრები პარიზში მსოფლიოს თასს დაეუფლა. ჩვენი გუნდი საქართველოში ჩამოსვლისთანავე პროგრამა “არენას“ ეწვია.

მომზადდა რეპორტაჟი ბორჯომიდან, სადაც ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებებმა ჩინეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ დასკვნითი შეკრება გამართეს. გაკეთდა პირდაპირი ჩართვები აჭარიდან ფედერაციის ხელმძღვანელებთან.

პროგრამა “არენამ“ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ციკლს, რომელიც საქართველოს ნაკრებმა ჩაატარა. მაყურებელს საშუალება ჰქონდა მოესმინა და სატელეფონო პირდაპირი ჩართვებით აზრი გამოეთქვა ჩვენი გუნდის გამოსვლების თაობაზე. მათ პასუხობდნენ სტუდიაში მოწვეული სპეციალისტები და ვეტერანი ფეხბურთელები.

თოქ-შოუს ყურადღების ცენტრში მოექცა ჩოგბურთელ ქალთა თბილისის საერთაშორისო ტურნირები. ამ ბოლო პერიოდში საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაში მომხდარი სასიკეთო ცვლილებები, “ქართული ჩოგბურთის“ ასოციაციის ჩამოყალიბება და თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო საჩოგბურთო ხაზის გახსნა.

“მსოფლიო რაგბი”

სპორტული გადაცემა “მსოფლიო რაგბი“ ტრადიციულად მსოფლიოში მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო სარაგბო მოვლენებს აშუქებს. ივლისი-სექტემბრის პერიოდში “მსოფლიო რაგბის” გამოშვებებში საუბარი იყო უელსის, შოტლანდიის, ალჟირის, ავსტრალიის, საფრანგეთის, კონგოს ნაკრებ გუნდებზე. გარდა ამისა, მიმოვიხილეთ ექვსი ერის თამაშები და სანაკრებო პერიპეტიები. სექტემბრის გადაცემებში საუბარი იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ამჯერად ყურადღების ცენტრში იყო აფრიკის, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ნაკრებები. საინტერესო გამოდგა რეპორტაჟულ კადრებზე აგებული შვიდი ერის თამაშების მიმოხილვა. გადაცემაში საუბარი იყო საქართველოს ნაკრებზე, რომელიც ერთა თასის გათამაშებისათვის რუმინეთის მატჩისათვის ემზადება.

რეპორტაჟები

5, 6, 26 და 27 აგვისტოს პირველი არხის ეთერით გადაიცა მსოფლიოს ჩემპიონატი ავტორბოლაში – “ფორმულა 1“-ის პირდაპირი რეპორტაჟები უნგრეთიდან და თურქეთიდან.

2 აგვისტოს თბილისის ლოკომოტივის სტადიონიდან მოეწყო ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის ბოლნისის “სიონი“ – სოფიის “ლევსკის“ პირდაპირი რეპორტაჟი.

24 აგვისტოს კი პირდაპირი ეთერით გადაიცა უეფას თასის გათამაშების მატჩი თბილისის “ამერი “ – გერმანიის “ჰერტა“.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაიცა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თამაშები, რომლებიც თბილისში, ვენასა და ჰელსინკიში გაიმართა. ოთხივე პირდაპირი რეპორტაჟი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაიცა. თამაშების დიდ ეკრანებზე ნახვის საშუალება მიეცათ თბილისსა და ბათუმში კალათბურთის მოყვარულებს.

საინტერესო იყო ჩოგბურთელ ქალთა თბილისის საერთაშორისო ტურნირების 5 პირდაპირი რეპორტაჟი..

სექტემბრის მიწურულს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კიდევ ერთი კარგი საჩუქარი გაუკეთა სპორტის მოყვარულთ. მათ ხუთი დღის განმავლობაში საშუალება ჰქონდათ თვალი ედევნებინათ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატის პირდაპირი რეპორტაჟებისათვის, ენახათ ქართველი ფალავნების გამოსვლები.

21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ერთი შეხვედრა საქართველო-სერბეთი პირდაპირი რეპორტაჟი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხით გადაიცა.

9, 10, 29 და 30 სექტემბერს გადაიცა ავტორბოლაში მსოფლიოს ჩემპიონატის “ფორმულა 1“-ის იტალიისა და ჩინეთის ეტაპები. ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, დარჩა სულ ორი ეტაპი. 2006 წლის “ფორმულა 1“-ის ჩემპიონის ვინაობას სპორტის მოყვარულები საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით შეიტყობენ.

კინოპროგრამების მიმართულება

მხატვრული ფილმები

საზოგადოებრივი მაუწყებლის კინომიმართულება აგრძელებს კომპანია Warner Brothers – ის სხვადასხვა ჟანრის ფილმების ჩვენებას ყოველდღე, ღამის ეთერში. ამასთან ერთად, აგვისტოს თვიდან კვირაში ერთ დღეს ვუთმობთ ძველი კლასიკური ფილმების ჩვენებას. სექტემბრიდან, ასევე კვირაში ერთხელ, დავიწყეთ მსოფლიო კინოს შედეგების ჩვენება. 28 აგვისტოს, მარიამობასთან დაკავშირებით 22:00 სთ-ზე ეთერში გავიდა ფრანგული მხატვრული ფილმი „მარიამ ნაზარეველი“.

ქართული ფილმები

შაბათ-კვირას გრძელდება ქართული მხატვრული ფილმების ჩვენება. კვირაობით კი ეთერში გადის ქართული მხატვრული ფილმები აფხაზური სუბტიტრებით. ივლისის-სექტემბრის პერიოდში ნაჩვენებია იყო შემდეგი ფილმები:

2 ივლისს გავიდა „მიდიოდა მატარებელი“ (რეჟისორი - გიორგი შენგელაია)

16 ივლისს - „ჭრიჭინა“ (რეჟისორი - სიკო დოლიძე)

23 ივლისს - „სიყვარული ყველას უნდა“ (რეჟისორი - გიორგი შენგელაია)

30 ივლისს - „წიკიპურტები“ (რეჟისორი - რეზო ესაძე)

6 აგვისტოს - „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ (რეჟისორი - სიკო დოლიძე)

13 აგვისტოს - „არასერიოზული კაცი“ (რეჟისორი - დიმიტრი ბათიაშვილი)

19 და 20 აგვისტოს - „ხარება და გოგია“ 2 სერია (რეჟისორი - გიორგი შენგელაია)

27 აგვისტოს - „შემსრულებელი“ (რეჟისორი - მიხო ბორაშვილი)

28 აგვისტოს, მარიამობასთან დაკავშირებით 19:20 სთ-ზე ეთერში გავიდა დოკუმენტური ფილმი „დედა ღვთისმშობელი“ (რეჟისორი - მერაბ გაგუა);

10 სექტემბერს - „ლაზარეს თავგადასავალი“ (რეჟისორი - რამაზ ხოტივარი)

17 სექტემბერს - „მყუდრო სავანე“ (რეჟისორი - კარლო ღლონტი)

24 სექტემბერს - „მხიარული რომანი“ (რეჟისორი - ლევან ხოტივარი).

დოკუმენტური ფილმები

ივლისში და აგვისტოში, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გრძელდება BBC – ის სხვადასხვა თემატიკის დოკუმენტური ფილმების ციკლი. სექტემბრიდან კი, ამავე ზოლში, დაიწყო ახალი დოკუმენტური ფილმების ჩვენება მოგზაურობაზე: „დანიშნულების ადგილი მსოფლიო“ და „მსოფლიოს ქალაქები“, სადაც საინტერესოდ არის მოთხრობილი მსოფლიოს სხვადასხვა ადგილების ისტორიისა და ღირსშესანიშნაობების შესახებ. შაბათ-კვირას ვაგრძელებთ საფრანგეთის არხების ARTE და CFI პროდუქციის ჩვენებას. სხვადასხვა ჟანრის ფილმები გადანაწილებულია კვირის სხვადასხვა დღეებზე.

მიმდინარეობდა მუშაობა Discovery-ს ფილმების შექმნაზე, რომელთაც მაყურებელი ეთერში ნოემბრიდან იხილავს.

სერიალები

იელისის თვეში, დამთავრდა სერიალების – „ცხოვრება თავიდან იწყება“, „ნიკიტასა“ და „მეგობრების“ ჩვენება. აგვისტოში განმეორებით იყო ნახვენები: 19:00 სთ-ზე „წერილვარსკვლავთა ღამე“ და 21:00 სთ-ზე „ფორსაიტების საგა“.

სექტემბრიდან კი დაიწყო ახალი სერიალების ჩვენება. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 21:00 სთ-ზე გადის ახალგაზრდული, კომედიური ჟანრის სერიალი „მეგობრები“ (ახალი სეზონი). ხოლო, 23:00 სთ-ზე - მძაფრსიუჟეტოანი სერიალი „სოპრანოს კლანი“;

მუსიკალური მიმართულება

ისევე როგორც წინა პერიოდში, ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელს მუდმივად ეთავაზობდით უცხოურ თანამედროვე და კლასიკურ მუსიკას. ტრადიციულად ყოველ კვირას 18:40 სთ-ზე ეთერში გადიოდა გადაცემა “**ფოლკლორი**”. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააშუქა 23-24 სექტემბერს ჩარგალში გამართული **ფესტივალი “ვაჟაობა”**. გავაშუქეთ 25-29 სექტემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული **მრავალსმიანობის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი**. 26 სექტემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარდა **ჩიკ კორეას და გარი ბარტონის კონცერტი**.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეიძინა უცხოური მუსიკალური კლიპები, რომლებიც ეთერში 1 სექტემბრიდან გადის. ასევე შევიძინეთ მუსიკალური გაფორმების კომპაქტ-დისკები, რაც აუცილებელია არსზე არსებული გადაცემების შესაფუთად.

დასასრულს უახლოვდება მზადება გადაცემისთვის “**არტ-კლუბი**”, რომელიც ეთერში ოქტომბრიდან გავა. შემოქმედებითი ჯგუფი ზაფხულის განმავლობაში ამზადებდა სიუჟეტებს და აგროვებდა საინტერესო მასალებს მომავალი გადაცემისთვის.

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს შორის შეთანხმების საფუძველზე, სექტემბრის თვიდან საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩაწერს და ეთერში გაუშვებს ოპერაში ჩატარებულ ყველა საინტერესო კონცერტსა და სპექტაკლს. ამის სანაცვლოდ საზოგადოებრივი მაუწყებელი ანონსირებას გაუწევს თეატრის ღონისძიებებს.

29 სექტემბერს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პირდაპირ ეთერში გადასცა ფესტივალ “**ჩვენებურების**” გახსნისადმი მიძღვნილი გალა კონცერტი ვაკის პარკიდან. საზოგადოებრივი მაუწყებელი ტრადიციულად ამ ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერია.

ფესტივალი არტ-გენი

ზაფხულის მთავარი მუსიკალური მოვლენა იყო ფოლკლორის ფესტივალი “**არტ-გენი**”, რომელიც 14-23 ივლისს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდა. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვრცლად აშუქებდა ამ მოვლენას. თბილისის საქართველოს ყველა რეგიონიდან ეწვივნენ მომღერლები, მოცეკვავეები, მოშიაირეები, რეწვის ოსტატები. მათ მაყურებელს გააცნეს საკუთარი შემოქმედება. საზოგადოებრივი მაუწყებელი იყო ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერი და ფლობდა ამ ფესტივალის გაშუქების ექსკლუზიურ უფლებას.

“არტ-კლუბი”

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ახალ მუსიკალურ-გასართობ გადაცემაზე “**არტ-კლუბი**“, რომელიც ღამის ეთერში 15 ოქტომბრიდან გავა და გააშუქებს თანამედროვე კულტურული ცხოვრების ყველა მხარეს (მუსიკა,

თეატრი, კინო, მოდა, ლიტერატურა და ა.შ.). გადაცემის წამყვანები იქნებიან საზოგადოებისთვის საინტერესო სახეები – ქეთათო და კაკადუ. გადაცემის მიზანია მაყურებელს მიაწოდოს ინფორმაცია ხელოვნების სხვადასხვა დარგში მომხდარ მოვლენათა შესახებ, გააანალიზოს კონკრეტული მიმართულებანი, ტენდენციები, საზოგადოების დამოკიდებულება ხელოვნების ამა თუ იმ დარგის მიმართ. პროექტის ძირითადი ნაწილი ქართულ კულტურას დაეთმობა, რაც აუცილებლად შეუწყობს ხელს მის პოპულარიზაციას. ასევე განხილული იქნება უცხოური კულტურის სიახლეები ძირითადი ტენდენციები და მათი გავლენა ქართველ შემოქმედებზე. პროექტი განკუთვნილია საზოგადოების ფართო ფენებისთვის და დააინტერესებს სხვადასხვა ასაკის მაყურებელს.

მუსიკალური ზოლი:

- 07.07.06 - რიშარ გალიანო ოპერაში
- 12.07.06 – დოკუმენტური ფილმი “მოგზაურობა ფოლკლორში”
- 14.07.06 - ზაალ კაკაბაძის ბენეფისი
- 21.07.06 - კლინგე და ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი
- 23.07.06 - შუბერტის სიმფონია №5
- 23.07.06 - ბრაიან ზეცერი
- 28.07.06 - ტრიო “თბილისი” 20 წლისაა (2003 წ.)
- 29.07.06 - “დონ კარლოსი” (სოლისტი პაატა ბურჭულაძე)
- 18.08.06 - ნანი ბრეგვაძე ოპერაში
- 25.08.06 - ანსამბლი “თბილისი”
- 01.09.06 - Pink Floyd (კედელი)
- 10.09.06 - პრინცი
- 15.09.06 - ყველასათვის უცნობი კოული (დოკ.ფილმი)
- 16.09.06 - ჯო კოკერი
- 22.09.06 - შუბერტის სიმფონია №5
- 23.09.06 - რიშარ გალიანო ოპერაში
- 23.09.06 - კრის ბოტი
- 23.09.06 - მარკუს მილერი
- 30.09.06 - ქეით ჯარეტი

საგანმანათლებლო პროგრამები

“სასამართლო დარბაზი”

პროექტი “სასამართლო დარბაზი” უზენაესს სასამართლოსთან ერთად ხორციელდება და საზოგადოების სამართლებრივი განათლების ამაღლებას ისახავს მიზნად. იმიტირებული სასამართლო პროცესების მეშვეობით მოსახლეობას განუუმარტავთ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებს. გადაცემის მოსამართლე რეალური პირია - უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა, ხოლო მონაწილეები - პროფესიონალი მსახიობები.

გადაცემა ივლისის თვეში ხუთჯერ გავიდა ეთერში :

1 ივლისს იმიტირებული სასამართლო პროცესი მკვლელობის მცდელობას ეხებოდა.

8 ივლისს ეთერში გავიდა სასამართლო განქორწინების და ქონების გაყოფის შესახებ.

15 ივლისს ეთერში გავიდა იმიტირებული სასამართლო პროცესი, რომელიც მომხმარებლის უფლებებს ეხებოდა.

22 ივლისს ეთერში გასული “სასამართლო დარბაზი” სამკვიდროს მიღებას და შვილად აყვანის შესახებ ცნობების გამოქვეყნებას ეხებოდა.

29 ივლისს ეთერში განმეორებით გავიდა იმიტირებული სასამართლო დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ.

აგვისტოში “სასამართლო დარბაზი” განმეორებით გადიოდა ეთერში :

2 სექტემბერს განზრახ მკვლელობის შესახებ.

9 სექტემბერი - სამოქალაქო სამართალწარმოება შვილდაყვანის გაუქმების შესახებ.

16 სექტემბერი - სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით.

23 სექტემბერი - სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის ფაქტზე.

30 სექტემბერი - უდანაშაულობის პრეზუმცია.

გასართობი მიმართულება

„მხიარული რინგი“

სატელევიზიო იუმორისტული კონკურსი “მხიარული რინგი” საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ოქტომბრიდან გავა. ივლისში გამოცხადებული კონკურსის შედეგად გადაცემისთვის შეირჩა მოყვარულ იუმორისტთა 12 გუნდი, რომლებიც ყოველ კვირას ერთმანეთს შეეჯიბრებიან. ყველა მონაწილე გუნდზე გაიცემა ჰონორარი. ყოველ მომდევნო ტურში გასული გუნდებისთვის ანაზღაურება გაიზრდება კონკურსიდან გავარდნილი გუნდების ხარჯზე. გუნდების მიერ წარმოდგენილ პროგრამებს შეაფასებს მოწვეული ჟიური.

გუნდებს ნომრების საკონკურსოდ მომზადებაში ეხმარებიან პროფესიონალი იუმორისტი-რედაქტორები. გუნდებს რამდენიმე ნომრის მომზადება მოუწევთ. თითოეული გადაცემის ბოლოს ჟიური ასახელებს ყველაზე უარეს გუნდს, რომელმაც უნდა დატოვოს კონკურსი. ტურნირი 10 კვირის განმავლობაში გაგრძელდება და გამარჯვებული საახალწლო გამოშვებაში გამოვლინდება. პროექტისთვის მომზადდა სტუდია. გუნდებისთვის და მათი გულშემატკივრებისთვის, რომლებიც დარბაზში იქნებიან შეიკერა სპეციალური კოსტუმები.

სექტემბერში ჩატარდა პირველი ტური, რომლის შედეგადაც გამოვლინდა 8 გამარჯვებული გუნდი. ეთერში პირველი ტურის მასალები 29 ოქტომბრიდან გავა, ხოლო ფინალისტი ახალ წელს გამოვლინდება. ამჟამად მიმდინარეობს სამზადისი მეორე ტურისათვის.

“კედელი”

საზოგადოებრივი მაუწყებელი ოქტომბრიდან ახალგაზრდებს შესთავაზებს თოქ-შოუს “კედელი”, რომელიც ყოველ პარასკევს 22 სთ-ზე გავა ეთერში. საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორუმზე კვირის განმავლობაში განიხილება ახალგაზრდობისათვის მწვავე თემები. გადაცემისთვის შეირჩევა ყველაზე აქტუალური თემა. გადაცემაში იქნება მოწვეული ცნობილი სახე, რომელიც შეხვდება ფორუმზე მონაწილე აქტიურ წევრებს და დამსწრე აუდიტორიას. პირდაპირ ეთერში მოხდება კვირის მთავარ თემაზე მსჯელობა და აზრთა გაცვლა. თოქ-შოუს მსვლელობისას ნაჩვენები იქნება სპეციალურად ამ თემისთვის მომზადებული პატარა სიუჟეტები.

თოქ –შოუს წაიყვანენ სოფო ალთუნაშვილი და სანდრო გაბისონია. გადაცემის მიზანია ახალგაზრდების პრობლემების გაშუქება, მათი ჩაბმა აქტუალურ საკითხებზე მსჯელობის პროცესში.

გადაცემის მზადების პროცესში შეიქმნა სპეციალური ფოკუს-ჯგუფები, რომლებიც ესწრებოდნენ რეპეტიციებს და გამოთქვამდნენ თავიანთ შენიშვნებს. პარალელურად შემუშავდა გადაცემის სიუჟეტის დინამიური, სპეციფიკური სტილი. ამავე პერიოდში შემუშავდა გადაცემაში განსახილველი სავარაუდო თემები. გადავიდეთ თოქ-შოუს პრომო, მზადების პროცესშია ქუდი და ტიხრები. საზოგადოებრივი მაუწყებლის განახლებულ ვებ-გვერდზე ცალკე გვერდად დაემატა ახალგაზრდული თოქ-შოუ “კედელი”. გვერდი მოიცავს ჩეთს, ანკეტას

გადაცემაში მონაწილეობის მსურველთათვის და ფორუმს, სადაც განიხილება თემები. იგეგმება გადაცემის პრეზენტაცია სხვადასხვა სასწავლო და გასართობ დაწესებულებებში. ასევე სხვადასხვა ორიგინალური აქცია ახალი პროექტის პოპულარიზაციის მიზნით.

„შერეკილები“

სექტემბრიდან საზოგადოებრივი რადიოს დილის „პიკის საათის“ ეთერშია ახალი სახალისო რუბრიკა „შერეკილები“. მსმენელი ამ რუბრიკიდან მიიღებს მისთვის უცნობ ინფორმაციას ამა თუ იმ დაუჯერებელ მოვლენასა თუ ცნობილ პიროვნებაზე. რუბრიკა გასართობი ხასიათისაა და მუსიკის თანხლებით დილიდან მსმენელისთვის კარგი განწყობის შექმნას უწყობს ხელს.

სხვადასხვა

“ახალი დღე”

ივლისის-სექტემბრის პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა დილის საინფორმაციო-გასართობმა პროგრამამ. ივლისში “ადრე” ჩვეულ რიტმში განაგრძობდა მუშაობას, თუმცა სექტემბერში გადაცემა ეთერში განახლებული სახელწოდებით, შეფუთვითა და ფორმატით გავიდა.

“ახალი დღე” – დილის გადაცემამ სახელწოდება შეიცვალა. გარდა ამისა ფორმატი უფრო დინამური და ყურებადი გახდა. შეიცვალა დეკორაციაც. დილის გადაცემაში უფრო მეტი ინფორმაციაა, რაც მას უფრო მრავალფეროვანს ხდის. დაემატა ახალი რუბრიკებიც. ნაციონალური კერძების გარდა, რომელიც ქეთი კეკელიას მიჰყავდა, ეთერში გავიდა ახალი რუბრიკა - **ოჯახური კერძები**, ხოლო ოქტომბრიდან მაყურებელი კიდევ ერთ ახალ რუბრიკას იხილავს, სახელწოდებით **კულინარული შეჯიბრი**. ორივე რუბრიკა ინტერაქტიურია და ტელემყურებლის მაქსიმალურ მონაწილეობას ითვალისწინებს. **ოჯახური კერძების მონაწილეები ტელემყურებელთა შორის შეირჩევა – საუკეთესო კულინარული რეცეპტის ავტორები** საკუთარ კერძებს სტუდიაში მოამზადებენ. გადაცემა კონკურსის პრინციპს ემყარება. ყოველ თვიურად შეირჩევა გამარჯვებული რეცეპტის ავტორი და პრიზით დააჯილდოვდება. ტელემყურებლის ჩართულობაზეა გამიზნული ასევე კულინარული კონკურსი, რომლის დროსაც პირდაპირ ეთერში სამზარეულოში ერთმანეთს მამაკაცი მზარეულები შეეჯიბრებიან. გამარჯვებულს ინტერაქტივის საშუალებით თავად ტელემყურებელი დაასახელებს. საზოგადოებრივი მაუწყებელი გამარჯვებულებს და აქტიურ მაყურებლებს საინტერესო პრიზებით დააჯილდოვებს.

„სარჩევი“

“სარჩევი” შემეცნებით-საგანმანათლებლო გადაცემაა, რომელიც პირდაპირ ეთერში გადის ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, დღის პირველი საათიდან ორ საათამდე. “სარჩევის” ძირითადი მიზანი აუდიტორიისათვის რჩევების მიცემაა. “სარჩევი” მზადდება იურიდიულ, სამედიცინო, საგანმანათლებლო და ყოფით საკითხებზე. სექტემბრიდან გადაცემა განახლებული სტუდიიდან გადის. ცვლილებები განიცადა გადაცემის რუბრიკებმაც.

ივლისში გადაცემა დაეთმო ქართული და სამეჯლისო ცეკვების შესწავლას: რომელი ასაკიდანაა უმჯობესი ბავშვის ცეკვაზე მიყვანა და რა მონაცემებია საჭირო იმისათვის, რომ პატარა კარგი მოცეკვავე გამოვიდეს. რამდენიმე გადაცემა – ქალაქის ყოფით პრობლემებს. მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა და ქალაქის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა დავით ავალიანმა თბილისის სანიტარული მდგომარეობის შესახებ ისაუბრეს. მაყურებელს გააცნეს, თუ სად და რომელი სამსახურია ვალდებული, მოაგვაროს ის პრობლემები, რომლებიც მოსახლეობას ზაფხულის განმავლობაში შეექმნება. მაგალითად, სად უნდა დარეკონ ეზოების დასუფთავებისა და ნაგვის გატანისთვის, ვის მიმართონ მაწანწალა

ძალეებისგან შეწუხებულმა მცხოვრებლებმა. ასევე ვის უნდა მიმართონ და ვის ავალია კონკრეტულ ქუჩაზე შესრულებული სამუშაოების კონტროლი, სამშენებლო ნაგვის გატანა და სხვა; მერიის თანამშრომლებმა ჩვენი ეთერით მიწისა და უძრავი ქონების შესყიდვის შესახებ დაინტერესებულ მაყურებელს მისცეს რჩევები. სარჩევში მოწვეულმა სტუმრებმა ისუბრეს მდრღნელებისა და ქვეწარმავლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და მოსახლეობას მისცეს რჩევები პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

ერთ-ერთი გადაცემა ასევე დაეთმო საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის ხარისხს, რა უნდა ვიცოდეთ ხარისხიანი პროდუქციის შეძენისას. რაც შეეხება სამედიცინო თემატიკას, მიმოვიხილეთ ოსტეოპოროზისა და ძვლის დაავადებები. თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რაიონში არსებული ბალნეოლოგიური კურორტების შესახებ ისაუბრეს თამარ ჩილინგარაშვილმა და მანანა ტაბიძემ. მაყურებლის ინტერესი გამოიწვია გადაცემამ საკმაოდ გავრცელებული დაავადების - საყლაპავი მილის თიაქარის შესახებ. ვისაუბრეთ გულსისხლძარღვთა და კანის დაავადებებზე. ზაფხულში და ასევე წლის ნებისმიერ დროს დასვენების მოყვარულებს საქართველოსა და საზღვარგარეთ მოგზაურობაზე რჩევებს ზურაბ შარია და მაია ოდიშარია აძლევდნენ.

ავისტოში „სარჩევი“ მხოლოდ განმეორებით ჩვენებას სთავაზობდა მაყურებელს. 4 სექტემბრიდან „სარჩევი“ განახლებული ფორმით გადის ეთერში, შეიცვალა ფორმატი, დაემატა რამდენიმე ახალი რუბრიკა და შეიცვალა სტუდია.

ახალი რუბრიკებია:

1. მშენებლობა და დიზაინი – რჩევები მშენებლობისა და ინტერიერის მოწყობის შესახებ. მაგალითად, როგორ ავარჩიოთ ხის მასალა კარ-ფანჯრისთვის. დიზაინერი ალექო კორკოტაშვილი საკუთარი სახლის მაგალითზე გვიჩვენებდა, თუ როგორ შეიძლება პატარა და მოუხერხებელი ბინის გადაკეთება ისე, რომ იგი ფართო და კომფორტული გახდეს.
2. შტრიხ-კოდი – რა უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა პროდუქტების ყიდვისას.
3. ეტიკეტი – როგორ გავშალოთ სადღესასწაულო სუფრა წესების სრული დაცვით. როგორ ჩავიცვათ და მოვიქცეთ სპეციფიურ შემთხვევებში.
4. ფლორა – როგორ გავახაროთ სხვადასხვა მცენარე და როგორ მოვუაროთ მათ.
5. მოდა-აქსესუარები – სხვადასხვა აქსესუარის, მაგალითად ჰალსტუხის წარმოშობის ისტორია, რამდენი და როგორი ჰალსტუხი არსებობს და როგორ მოვიხმართ ესა თუ ის აქსესუარი.
6. ცხოველები – როგორ მოვუაროთ შინაურ ცხოველებს.
7. მარჯვე ხელები – სასარგებლო რჩევები, ჩვენს ხელთ არსებული ნივთებისა პორდუქტების ოპტიმალურად გამოყენებისთვის.
8. ბავშვი – რჩევები პედიატრებისგან. ექიმი ქეთევან ნემსაძე ენტეროვირუსების შესახებ, ფსიქოლოგი ზაზა ვარდიაშვილი კი სკოლის ასაკის ბავშვების ფსიქოლოგიაზე გვესაუბრა.
9. მოგზაურობა – რა უნდა იცოდეს მან, ვინც მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში, მაგალითად პარიზში სამოგზაუროდ წასვლას გადაწყვეტს; რა ღირსშესანიშნაობები უნდა მოინახულოს, რომელი ფულის ერთეულია ამ ქვეყანაში, სად შეიძლება იცხოვროს და ა.შ.
10. ავტო – ქუჩაში მოძრაობის წესები მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეთათვის. სასარგებლო რჩევები დამწყები მძღოლებისთვის.
11. მასაჟი – სხვადასხვა სახეობის მასაჟი და მათი მნიშვნელობა ჯანმრთელობისთვის.

“სარჩევს” თითოეული გამოშვება სრულდება გამაჯანსაღებელი ვარჯიშით, რომელიც იმ ქალბატონებისთვისაა, ვინც სახლშია, აქტიურად ადევნებს თვალს “სარჩევს” და სჯერა, რომ ახალ წლამდე წონაში დაიკლებენ, თუკი ჩვენთან ერთად ივარჯიშებენ.

„პიკის საათის შტრიკოდი“

1 ივლისიდან საზოგადოებრივი რადიოს დილის „პიკის საათის“ ეთერშია ახალი რუბრიკა ”შტრიკოდი“. ხუთწუთიანი რუბრიკის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის გათვითცნობიერება მომხმარებელთა უფლებების მხრივ. საჭირო ინფორმაცია მსმენელს კარგი მუსიკალური შეფუთვით მიეწოდება.

„ბიზნესის ამბები“

1 სექტემბრიდან საზოგადოებრივი რადიოს ეთერშია ქართული და უცხოური ბიზნესის ახალი ამბები. გადაცემის ავტორი და წამყვანი – რამინ მელაძე მსმენელს აცნობს საერთაშორისო ეკონომიკურ მოვლენებს, ფასებს და მათ გავლენას ქართულ რეალობაზე. საუბარი შეეხება ინვესტიციებს, ახალ ეკონომიკურ პროექტებს და სხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ საკითხებს. ბიზნესის სიახლენი განიხილება ხუთწუთიან რუბრიკაში, რომელიც თანაბრად დააინტერესებს როგორც საქმიან ადამიანს, ასევე რადიოს რიგით მსმენელს.

„განსხვავებული აზრი“

სექტემბრიდან საზოგადოებრივი რადიო მაყურებელს სთავაზობს ახალ გადაცემას “განსხვავებული აზრი”. ყოველ ოთხშაბათს, 13.05 სთ-ზე საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები უძღვებიან გადაცემას, საუბრობენ მათ პროფესიასთან დაკავშირებულ თემებზე. გადაცემაში უკვე მოწვეული იყვნენ მამუკა ხაზარაძე, რომელიც გვესაუბრა ხალხურ შემოქმედებაზე და ლიტერატურაზე; აგრეთვე სალომე ზურაბიშვილი - მოდაზე და სამზარეულოზე და სხვა.

„დილის სერპანტინი“

განახლებული ფორმატით გადის რადიო ორის დილის პროგრამა ”დილის სერპანტინი“. ყოველდღიური დილის პროგრამა სხვადასხვა რუბრიკებისგან შედგება:

1. ”ექსპრეს-ინფორმაცია“ 09.30 სთ. – მგზავრობა, ბიზნესი, ბაზარი, სპეცკორის ჩართვა – ფასები, იუმორისტული ბლიცინტერვიუ გამყიდველებთან და მყიდველებთან.
2. დილის სტუმარი 11.00 სთ. – ოპერატიული სატელეფონო ინტერვიუ სხვადასხვა ღონისძიებათა შესახებ, საინტერესო სტუმრები, საინტერესო მოვლენები.
3. „რჩევები ეკატერინესაგან“ 11.30 სთ. – ჩანაწერები სამედიცინო და ყოფითი რჩევების სახით.

4. ამინდის დღის და გრძელვადიანი პროგნოზი საქართველოსა და მსოფლიოში – 12.00 სთ.
5. მსმენელის გვერდი 12.30 სთ. - 25 წუთიანი მუსიკალური პროგრამა, რომელიც შედგენილია მსმენელის მიერ.
6. ვალუტის კურსი –13.00 სთ. სატელეფონო ჩართვა ეროვნული ბანკიდან ვალუტის ახალი კურსის დასადგენად.

ტრანსლაციები:

- 3 ივლისი საოლქო სასამართლო – გვირგვლიანის სასამართლო პროცესი
 - 5 ივლისი საოლქო სასამართლო – გვირგვლიანის სასამართლო პროცესი
 - 6 ივლისი საოლქო სასამართლო– გვირგვლიანის სასამართლო პროცესი
 - 9 ივლისი „არენა“-თოქ-შოუ კ/თ „ამირანი“
 - 11 ივლისი ფეხბურთი
 - 13 ივლისი სვეტიცხოველობა
 - 14 ივლისი ფოლკლორის ფესტივალი
 - 15 ივლისი ჭიდაობა
 - 16 ივლისი ჭიდაობა
 - 20 ივლისი ფოლკლორის ფესტივალი
 - 22 ივლისი ფოლკლორის ფესტივალი
 - 23 ივლისი ფოლკლორის ფესტივალი
 - 24 ივლისი პრეზიდენტის ბრიფინგი
 - 25 ივლისი რაგბი
-
- 3 სექტემბერი კალათბურთი
 - 3 სექტემბერი ფეხბურთი
 - 8 სექტემბერი პრეზიდენტის ბრიფინგი გურჯაანში
 - 9 სექტემბერი კალათბურთი
 - 16 სექტემბერი ჩოგბურთი
 - 17 სექტემბერი ჩოგბურთი
 - 17 სექტემბერი ბასტი-ბუბუ
 - 22 სექტემბერი ჩოგბურთი
 - 23 სექტემბერი ჩოგბურთი
 - 24 სექტემბერი ჩოგბურთი
 - 30 სექტემბერი დაისი

არქივი

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვიდეოთეკაში დაცული გამიფრული და სისტემატიზირებული ახალი მასალა შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში ივლისი-სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს **889** ჩანაწერს; აუდიო ფონდში: **1 595** ჩანაწერს; საინფორმაციო არქივი: DVCAM (3 საათიანი) – 70 კასეტა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში ივლისი-სექტემბრის პერიოდში ტელეფილმების პროდუქციის კინოფირებიდან ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადმოტანილია 47 აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები, საერთო მეტრაჟით დაახლოებით 27 სთ. გადმოტანილია შემდეგი მასალები:

1. ნახევარი საუკუნის მატინე 1919 წ. - 6 ნაწილი
2. ნახევარი საუკუნის მატინე 1919 წ. - 3 ნაწილი
3. ნახევარი საუკუნის მატინე 1920 წ. - 6 ნაწილი
4. დოკ/ფ „ანდერძი“ - 1 ნაწილი
5. ფრაგმენტი დოკ/ფ „სიონი“ - 4 ნაწილი
6. ნახევარი საუკუნის მატინე 1921 წ. - 5 ნაწილი
7. დ/ფ „მზე ჭიქაში“ - 2 ნაწილი
8. დ/ფ „აფრიკის გარშემო“ - 4 ნაწილი
9. დ/ფ „საქართველოს გზებით“ - 2 ნაწილი
10. დ/ფ „ხაბაზები“ - 1 ნაწილი
11. დ/ფ „სოფლის შენება“ - 2 ნაწილი
12. დ/ფ „სამჭედლო“ - 1 ნაწილი
13. დ/ფ „ნოქალაქევი“ - 2 ნაწილი
14. დ/ფ „სამეგრელოს ჩანახეტები“ - 2 ნაწილი
15. დ/ფ „თუშეთის მთებში“ - 2 ნაწილი
16. დ/ფ „ხევსურეთი“ - 2 ნაწილი
17. დ/ფ „ღარიალის ჩანახეტები“ - 2 ნაწილი
18. დ/ფ „წინანდალი“ - 3 ნაწილი
19. დ/ფ „დაგელოცოს მარჯვენა“ - 3 ნაწილი
20. დ/ფ „ქართული სამკაულის ოსტატები“ - 3 ნაწილი
21. დ/ფ „მჭედელი“ - 1 ნაწილი
22. დ/ფ „გუდასტვირი“ - 3 ნაწილი
23. დ/ფ „ბუნების საუნჯე“ - 3 ნაწილი
24. დ/ფ „აფხაზეთი“ - 3 ნაწილი

25. დ/ფ „ფრესკა“ - 3 ნაწილი
26. დ/ფ „ჯავახს ხეობა“ - 2 ნაწილი
27. დ/ფ „თუშური ყველი“ - 2 ნაწილი
28. დ/ფ „ქართული ვაზი“ - 3 ნაწილი
29. დ/ფ „რეზო ლალიძე“ - 3 ნაწილი
30. მს/ფ „უკანასკნელი ჯვაროსნები“ - 7 ნაწილი
31. დ/ფ „ქვის მოლელი“ - 2 ნაწილი
32. დ/ფ „სამხრეთ ოსეთი“ - 2 ნაწილი
33. დოკ. ფ. „რევაზ ლალიძე“ 2 ნაწილი
34. დოკ. ფ. „სიმღერით, ცხოვრებაში“ 6 ნაწილი
35. დოკ. ფ. „ზეიმობს უნივერსიტეტი“ 5 ნაწილი
36. დოკ. ფ. „მითები და სინამდვილე“ 2 ნაწილი
37. დოკ. ფ. „გელენის ნაკვალევზე“ 6 ნაწილი
38. ფრაგმენტი დოკ. ფ.-იდან „თბილისი“ 1 ნაწილი
39. დოკ. ფ. „ოლიმპიადის სტუმრები“ 2 ნაწილი
40. დოკ. ფ. „ნახევარი საუკუნის მატიანე 1923 წ.“ 6 ნაწილი
41. დოკ. ფ. „ნახევარი საუკუნის მატიანე 1924 წ.“ 5 ნაწილი
42. დოკ. ფ. „ნახევარი საუკუნის მატიანე 1925 წ.“ 5 ნაწილი
43. დოკ. ფ. „ნახევარი საუკუნის მატიანე 1926 წ.“ 5 ნაწილი
44. დოკ. ფ. „ნახევარი საუკუნის მატიანე 1927 წ.“ 5 ნაწილი
45. დოკ. ფ. „ნახევარი საუკუნის მატიანე 1928 წ.“ 6 ნაწილი
46. დოკ. ფ. „ნახევარი საუკუნის მატიანე 1929 წ.“ 6 ნაწილი
47. სულხან-საბა ორბელიანი 2 ნაწილი

საზოგადოებასთან ურთიერთობა

სტუდენტების ვიზიტი საზოგადოებრივ მაუწყებელში

4 ივლისს, ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის სტუდენტები საზოგადოებრივ მაუწყებელს ეწვივნენ. ისინი შეხვდნენ გენერალურ დირექტორსა და საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელს. სტუდენტები გაეცნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობასა და სამომავლო გეგმებს, დაათვალიერეს სტუდიები და საეთერო. რამდენიმე სტუდენტი, რომელიც ესწრებოდა აღნიშნულ შეხვედრას, სტაჟირებას საზოგადოებრივ მაუწყებელში გადის.

“გზა ნატოსკენ”

ნატოს საინფორმაციო ცენტრმა თავის 5 პროექტში გამოიყენა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებული ფილმი „გზა ნატოსკენ“. პროექტის მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენენ სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, მშობლები, სახელმწიფო პროექტის “კორპუსის” მაღალსართულიანი კორპუსების მცხოვრებლები, ექიმები, ადგილობრივი მართველობის წარმომადგენლები, ლიდერი ქალები, ახალგაზრდები, რომლებიც ისვენებენ საპრეზიდენტო პროექტ “პატრიოტის” ბანაკებში, ჟურნალისტები, ბიზნესმენები. აღნიშნული ფილმების საფუძველზე 27 ჟურნალისტმა მიერ, გაზეთებში გამოაქვეყნა სტატიები.

ვიზიტი პატრიოტთა ბანაკში

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა 12 აგვისტოს ბაზალეთის ტბასთან დაბანაკებულ „პატრიოტებს“ ეწვივნენ. სტუმრებმა ახალგაზრდებს საჩუქრად საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებული ფილმი „გზა ნატოსკენ“ გადასცეს.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ „ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი და ნატოში საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მრჩეველი.

დოკუმენტური ფილმის ჩვენება ოკუპაციის მუზეუმში

26 სექტემბერს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ოკუპაციის მუზეუმში მოაწყო მიხეილ ჯავახიშვილზე დოკუმენტური ფილმის ჩვენება. ფილმის ჩვენებას ესწრებოდნენ მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახის წევრები, ისტორიკოსები, მუზეუმის დამაარსებლები და მაუწყებლის ხელმძღვანელობა.

ადამიანური რესურსების სამსახური

ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ორგანიზაციის შიდაგანაწესზე, რომელიც ცალკეულ სამსახურებში განხილვის შემდეგ გენერალურმა დირექტორმა ბრძანებით დაამტკიცა.

AVID-ის სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ტრენინგი ჩუტარდათ საინფორმაციო სამსახურის მემონტაჟებს. ოქტომბერში საინფორმაციოს მემონტაჟები გაივლიან ტესტირებას, რის შედეგადაც მათ გაუფორმდებათ გრძელვადიანი კონტრაქტები.

კომერციული საქმიანობა

	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ჯამი
იჯარა	25433	3417	26009	54859
ტელერეკლამა	52915	774	15074	68763
რადიორეკლამა	164	63	2062	2289
ბარტერი	9742	28	3160	12930
SMS მაგთი			676	676
SMS ჯეოსელი			496	496
არქივი	113	110	258	481
პროდუქციის რეალიზაცია	1015	405	1687	3108
აუქციონი		379661	69078	448739
ჯამი	89382	384458	118500	592340

საერთაშორისო ურთიერთობები

2006 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

დაიგეგმა და ორგანიზება გაუკეთდა შეხვედრებს ევროპის მაუწყებელთა კავშირში (EBU-ს) და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებში, კერძოდ:

ხელი მოეწერა ხელშეკრულებას თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ პოლონეთის ტელეკომპანიასთან TV Polska.

- მიმდინარეობს მოლაპარაკება პოლონეთის ტელეკომპანიასთან TV Polska საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტალისტა ჯგუფის სასწავლო ვიზიტით პოლონეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით.

- შედგა მოლაპარაკება ევროპის მაუწყებელთა კავშირთან (EBU) 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სატელევიზო ჩვენების ექსკლუზიური ლიცენზიის შესყიდვასთან დაკავშირებით.

- შედგა მოლაპარაკება ორგანიზაციასთან “SPORTFIVE,” ესპანეთის ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის სატელევიზო ჩვენების ექსკლუზიური ლიცენზიის შესყიდვასთან დაკავშირებით.

მიმდინარეობს მუშაობა შემდეგ პროექტებზე:

- OSGF: საზოგადოებრივი მაუწყებლის საგამოძიებო ჯგუფისათვის ტექნიკის ყიდვასთან დაკავშირებით.

- OSGF: საინფორმაციო სამსახურის და არხის პროგრამული განვითარებისათვის ფრანგი კონსულტანტის სამუშაო ვიზიტით ჩამოსვლასთან დაკავშირებით.

- USAID და UNAG: ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მონაწილეობისა და განსახორციელებელი პროგრამების შესახებ.

- EBU-თან: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის 2007 წლის მუსიკალურ კონკურსში “Eurovision” მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.

ტექნიკური გადაიარაღება

ივლისი-სექტემბრის პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სხვადასხვა დასახელების ახალი ტექნიკა შეიძინა და მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ტექნიკური გადაიარაღების თვალსაზრისით. კერძოდ:

- დასრულდა 24 წვერიანი ოპტიკურ ბოჩკოვანი კაბელის გაყვანა, რომელმაც დააკავშირა ტელევიზია ანძასთან, პარლამენტთან და კანცელარიასთან. იგი ექსპლუატაციაში 7 ოქტომბრიდან შევა.
- ტენდერის შედეგად გამარჯვებულმა ფირმამ შემოიტანა ოპტიკური მოწყობილობები, მიმდინარეობს მონტაჟი რაც მოგვცემს საშუალებას ხარისხიანად მივაწოდოთ სიგნალი ტელე ანძას, მივიღოთ პარლამენტიდან და კანცელარიიდან ჩართვის სიგნალი მობილური სარელეო აპარატების გარეშე. აღნიშნული ღონისძიებები საერთო ჯამში საგრძნობლად გამოასწორებს პირველი და მეორე არხის და პირველი და რადიო ორის მაუწყებლობის ხარისხს.
- რუსულმა კომპანია დნკ-ამ მოგვაწოდა ახალი ცენტრალური სააპარატო, რომელიც ჩაანაცვლებს არსებულ 80-იან წლებში გამოშვებულ ტექნიკას. ამჟამად ტელევიზიის ინჟინრები ამონტაჟებენ ახალ აპარატურას და მიმდინარეობს სატესტო რეჟიმში მუშაობა.
- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პირველად საქართველოში შეიძინა და ჩამოიტანა სრულყოფილი ვირტუალური სტუდია. ებრაელმა სპეციალისტებმა ადგილზე მოახდინეს მონტაჟი და პერსონალის პირველადი ტრენინგი. აპარატურა დამონტაჟებულია პირველ სტუდიაში და მიმდინარეობს მისი ათვისება.
- საინფორმაციო სამსახურისთვის შევიძინეთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სისტემა “ავიდი”, რომელიც საშუალებას გვაძლევს საინფორმაციო სამსახურის შიდა წარმოება და მაუწყებლობა სრულიად გადავიყვანოთ ციფრულ წარმოებაზე. აპარატურა ჩამოსულია და ველოდებით გერმანულ სპეციალისტებს სამონტაჟო სამუშაოების დასაწყებად.
- რადიოს საეთერო და სამონტაჟო სტუდიებისთვის შევიძინეთ და ექსპლუატაციაში გაუშვით ხუთი ციფრული აუდიო მიქშერი.
- შეიქმნა ერთიანი სამონტაჟო ბლოკი. კონკრეტული რედაქცია შესაბამის სამსახურში წინასწარ აკეთებს განაცხადს და იწყებს მუშაობას სამონტაჟოსთან ინჟინრების კონტროლის ქვეშ. ამდენად, მოხდა სამუშაო პროცესის სისტემატიზაცია.